ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2026 წლის 4 თებერვალი

ქ. ახმეტა

„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №32 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24/12/2025, სარეგისტრაციო კოდი:190020020.35.162.016700) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **იოსები ქარუმაშვილი**

დანართი

თავი I

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი სახით:

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა		
			მათ შორის			მათ შორის	
	სულ	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	**37,126.7**	**44,802.5**	**26,548.2**	**18,254.3**	**35,265.4**	**27,897.1**	**7,368.3**
გადასახადები	**21,882.2**	**24,817.0**	24,817.0	-	**26,227.4**	26,227.4	-
გრანტები	**13,973.0**	**18,624.4**	370.1	18,254.3	**7,798.3**	430.0	7,368.3

სხვა შემოსავლები	1,271.5	1,361.1	1,361.1	-	1,239.7	1,239.7	-
II. ხარჯები	**20,278.7**	**26,280.8**	**23,181.8**	**3,099.0**	**26,939.1**	**24,831.5**	**2,107.6**
შრომის ანაზღაურება	3,670.3	4,099.6	4,099.6	-	4,478.7	4,478.7	-
საქონელი და მომსახურება	2,179.4	3,106.0	2,436.1	669.9	2,681.2	2,201.0	480.2
პროცენტი	51.6	35.9	35.9	-	13.7	13.7	-
სუბსიდიები	11,532.7	14,894.9	14,817.3	77.6	16,258.8	16,062.0	196.8
გრანტები	113.5	118.5	118.5	-	124.0	124.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1,040.8	1,204.8	1,204.8	-	1,416.6	1,416.6	-
სხვა ხარჯები	1,690.3	2,821.1	469.6	2,351.5	1,966.2	535.5	1,430.7
III. საოპერაციო სალდო	**16,848.0**	**18,521.7**	**3,366.4**	**15,155.3**	**8,326.2**	**3,065.6**	**5,260.6**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**17,503.9**	**25,358.2**	**9,163.0**	**16,195.2**	**17,850.2**	**8,402.4**	**9,447.8**
ზრდა	18,531.0	25,468.2	9,273.0	16,195.2	18,400.2	8,952.4	9,447.8
კლება	1,027.1	110.0	110.0		550.0	550.0	
V. მთლიანი სალდო	**- 655.9**	**- 6,836.5**	**- 5,796.6**	**- 1,039.9**	**- 9,524.0**	**- 5,336.8**	**- 4,187.2**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**- 834.8**	**- 5,980.3**	**- 4,940.4**	**- 1,039.9**	**- 9,689.9**	**- 5,502.7**	**- 4,187.2**
ზრდა	-	-	-	-	-	-	
ვალუტა და დეპოზიტები	-	-			-		
კლება	834.8	5,980.3	4,940.4	1,039.9	9,689.9	5,502.7	4,187.2
ვალუტა და დეპოზიტები	834.8	5,980.3	4,940.4	1,039.9	9,689.9	5,502.7	4,187.2
VII. ვალდებულებების ცვლილება	**- 178.9**	**856.2**	**856.2**	**-**	**- 165.9**	**- 165.9**	**-**
ზრდა	-	1,047.00	1,047.00	-	-	-	
საშინაო	-	1,047.00	1,047.00	-	-	-	
სესხები	-	1,047.00	1,047.00	-	-	-	
კლება	178.9	190.8	190.8	-	165.9	165.9	-
საშინაო	178.9	190.8	190.8	-	165.9	165.9	-
სესხები	178.9	190.8	190.8		165.9	165.9	-
VIII. ბალანსი	**0.0**	**-**	**- 0.0**	**-**		**0.0**	**- 0.0**

მუხლი 2. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის

ცვლილება

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა		
			მათ შორის			მათ შორის	
	სულ	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	**38,153.8**	**45,959.5**	**27,705.2**	**18,254.3**	**35,815.4**	**28,447.1**	**7,368.3**
შემოსავლები	37,126.7	44,802.5	26,548.2	18,254.3	35,265.4	27,897.1	7,368.3
არაფინანსური აქტივების კლება	1,027.1	110.0	110.0	-	550.0	550.0	-
ვალდებულებების ზრდა	-	1,047.0	1,047.0	-	-	-	
გადასახდელები	**38,988.6**	**51,939.8**	**32,645.6**	**19,294.2**	**45,505.2**	**33,949.8**	**11,555.5**
ხარჯები	20,278.7	26,280.8	23,181.8	3,099.0	26,939.1	24,831.5	2,107.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	18,531.0	25,468.2	9,273.0	16,195.2	18,400.2	8,952.4	9,447.8
ვალდებულებების კლება	178.9	190.8	190.8	-	165.9	165.9	-
ნაშთის ცვლილება	**- 834.8**	**- 5,980.3**	**- 4,940.4**	**- 1,039.9**	**- 9,689.9**	**- 5,502.7**	**- 4,187.2**

მუხლი 3. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 35265,4 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა		
			მათ შორის			მათ შორის	
	სულ	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	**37,126.7**	**44,802.5**	**26,548.2**	**18,254.3**	**35,265.4**	**27,897.1**	**7,368.3**
გადასახადები	21,882.2	24,817.0	24,817.0	-	26,227.4	26,227.4	-
გრანტები	13,973.0	18,624.4	370.1	18,254.3	7,798.3	430.0	7,368.3
სხვა შემოსავლები	1,271.5	1,361.1	1,361.1	-	1,239.7	1,239.7	-

მუხლი 4. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 26227,4 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა		
			მათ შორის			მათ შორის	
	სულ	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	**21,882.2**	**24,817.0**	**24,817.0**	**-**	**26,227.4**	**26,227.4**	**-**
საშემოსავლო გადასახადი	-	-			-		
დამატებული ღირებულების გადასახადი	19,503.6	22,217.0	22,217.0	-	23,827.4	23,827.4	
ქონების გადასახადი	2,378.6	2,600.0	2,600.0	-	2,400.0	2,400.0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,631.9	1,870.0	1,870.0	–	1,760.0	1,760.0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-	-	-	-	-	-	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	32.8	40.0	40.0	-	30.0	30.0	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	602.4	580.0	580.0	-	500.0	500.0	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	111.5	110.0	110.0	-	110.0	110.0	

მუხლი 5. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7798,3 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	**2024 წლის ფაქტი**	**2025 წლის გეგმა**	**2026 წლის გეგმა**
გრანტები	**13,973.0**	**18,624.4**	**7,798.3**
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	244.9	7.7	-
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	13,728.1	18,616.7	7,798.3
გათანაბრებითი ტრანსფერი	-	-	-
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. მათ შორის:	878.6	1,200.7	1,116.1
ა)„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის	274.6	228.7	236.4

ბ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის	14.0	14.0	14.0
გ) „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად	41.0	41.0	42.0
დ) „ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად	76.6	177.6	77.5
ე) „მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებების დელეგირების მიზნით“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის N146 განკარგულებით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად.	472.4	455.2	388.6
ვ) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით	-	78.7	137.6
ზ) „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ"	-	214.7	
თ) „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად			220.0
კაპიტალური ტრანსფერი **მათ შორის**:	11,038.2	12,442.0	6,682.2
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	7,233.9	7,408.5	5,746.2
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	2,059.4	2,702.3	-
2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა	-	-	-
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	716.0	936.0	936.0
სამგზავრო ავტობუსის შესაძენად	103.1	103.1	-
ნაგავმზიდი მანქანების შესაძენად	237.7	-	-
სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	-	444.0	-
საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობა	400.0	550.0	-
მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობა	298.1	298.1	-
სპეციალური ტრანსფერი **მათ შორის** :	1,815.0	4,974.0	-
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	1,815.0	4,974.0	-

მუხლი 6. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1239,7 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	**1,271.5**	**1,361.1**	**1,239.7**
შემოსავლები საკუთრებიდან	907.6	900.1	**850.0**
პროცენტები	510.4	460.1	400.0
რენტა	397.2	440.0	450.0
მშ. ბუნებრ რესურს მოსაკრ.	249.5	150.0	320.0
მიწის იჯარა	147.7	100.0	130.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	176.2	141.0	**140.0**
1.ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	131.6	111.0	110.0
სანებართვო მოსაკრებელი	22.7	36.0	35.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	106.0	75.0	75.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	2.9		
2. არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	44.6	30.0	30.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	169.5	240.0	**200.0**
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	18.2	80.0	49.7

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 26939,1 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა		
			მათ შორის			მათ შორის	
	სულ	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები

ხარჯები	**20,278.7**	**25,892.9**	**22,793.9**	**3,099.0**	**26,939.1**	**24,831.5**	**2,107.6**
შრომის ანაზღაურება	3,670.3	4,099.6	4,099.6	-	4,478.7	4,478.7	-
საქონელი და მომსახურება	2,179.4	3,231.0	2,561.1	669.9	2,681.2	2,201.0	480.2
პროცენტები	51.6	35.9	35.9	-	13.7	13.7	-
გრანტები	113.5	118.5	118.5	-	124.0	124.0	-
სუბსიდიები	11,532.7	14,410.0	14,332.4	77.6	16,258.8	16,062.0	196.8
სოციალური უზრუნველყოფა	1,040.8	1,226.8	1,226.8	-	1,416.6	1,416.6	-
სხვა ხარჯები	1,690.3	2,771.1	419.6	2,351.5	1,966.2	535.5	1,430.7

მუხლი 8. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

1.მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს **17,850.20** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვროს 18,400.2 ათასი ლარის ოდენობით, შემდეგი სახით:

პროგ. კოდი	**არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით**	**2024 წლის ფაქტი**	**2025 წლის გეგმა**	**2026 წლის გეგმა**
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**299.6**	**896.3**	**1,301.5**
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	299.6	896.3	1,301.5
01 01 01	ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო	72.7	10.7	-
01 01 02	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	226.9	885.6	1,301.5
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	-	-	-
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**15,390.8**	**19,807.4**	**12,701.5**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	12,635.8	15,910.0	9,008.5
02 02	წყლის სისტემების განვითარება	691.9	1,187.9	680.2
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	621.7	1,057.5	560.2
02 02 03	ა(ა)იპ სოფლის სასმელი წყლის მოვლა-პატრონობის ცენტრი	70.2	130.4	120.0
02 03	გარე განათება	2.5	3.7	25.6
02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	-	-	25.6
02 03 04	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური	2.5	3.7	-
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	-	-	-
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	478.8	867.7	458.6
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია,	478.8	867.7	458.6

	ექსპლუატაცია			
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1,077.1	1,496.7	2,291.8
02 07	ტურიზმი	54.6	-	-
02 07 01	ტურისტული ინფრასტურქტურის მოწყობა	54.6	-	-
02 08	მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	450.07	341.4	236.8
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**1,422.8**	**2,768.8**	**2,349.1**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	9.1	5.8	-
03 02	გარემოს დაცვა	56.0	128.7	148.0
03 02 01	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	35.4	125.0	128.0
03 02 02	ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი	20.6	3.7	20.0
03 03	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	1,357.7	2,634.3	2,131.1
03 03 01	სანიაღვრე არხების მოწყობა	318.8	243.3	71.8
03 03 03	სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა	844.2	339.2	40.0
03 03 04	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	191.5	1,960.6	1,912.7
03 04	დასუფთავების ღონისძიებები	-	-	70.0
04 00	**განათლება**	**509.7**	**626.3**	**547.6**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებები	348.1	172.0	200.0
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება ა(ა)იპ ს.ბაღების ცენტრი	133.7	172.0	200.0
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (საბავშვო ბაღების არაფინანსური მერიაში)	214.4	-	-
04 02	ზოგადი განათლება	161.7	454.3	347.6
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**844.4**	**1,356.5**	**1,485.5**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	797.6	1,309.0	1,420.5
05 01 01	ა(ა)იპ ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანება	6.5	29.5	20.0
05 01 02	ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი"	-	-	13.0
05 01 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	791.1	1,279.5	1,387.5
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	37.7	47.5	65.0
05 02 01	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	20.1	18.3	27.0
05 02 02	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება	17.6	29.2	38.0

05 02 04	კლუბები	-	-	-
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	5.8	-	-
05 04	ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი	3.4	-	-
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**63.7**	**13.0**	**15.0**
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	59.9	10.0	10.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	59.9	10.0	10.0
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	-	-	-
06 02	სოციალური დაცვა	3.9	3.0	5.0
06 02 05	ა(ა)იპ სოციალური სახლი	3.9	3.0	5.0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	**18,531.0**	**25,468.2**	**18,400.2**

ბ) არაფინანსური აქტივების კლება განისაზღვროს 550.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	**2024 წლის ფაქტი**	**2025 წლის გეგმა**	**2026 წლის გეგმა**
არაფინანსური აქტივების კლება	**1,027.1**	**150.0**	**550.00**
ძირითადი აქტივები	-	-	
არაწარმოებული აქტივები	1,027.1	150.0	550.00
მიწა	1,027.1	150.0	550.00

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	**დასახელება**	**2024 წლის ფაქტი**	**2025 წლის გეგმა**	**2026 წლის გეგმა**
7.1	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	**5,619.0**	**7,252.8**	**7,852.7**
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5,381.8	7,019.1	7,666.1
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,381.8	6,550.8	7,461.6
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	468.3	204.5

7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	230.5	226.7	179.6
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	**6.8**	7.0	7.0
7.2	**თავდაცვა**	**-**	**-**	**-**
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	-	-	-
7.4	**ეკონომიკური საქმიანობა**	**14,247.1**	**17,807.6**	**11,566.6**
7.4 2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1,077.1	1,496.7	2,291.8
7.4 2 1	სოფლის მეურნეობა	**1,077.1**	1,496.7	2,291.8
7.4 5	ტრანსპორტი	12,635.8	15,940.0	9,008.5
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	12,635.8	15,940.0	9,008.5
7.4 7	ეკონომიკის სხვა დარგები	534.2	370.9	266.3
7.5	**გარემოს დაცვა**	**3,697.6**	**5,762.0**	**5,597.5**
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1,345.0	1,791.2	1,969.3
7.5 2	ჩამდინარე წყლების მართვა	318.8	243.3	71.8
7.5 3	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	2,033.7	3,727.5	3,556.4
7.6	**საბინაო კომუნალური მეურნეობა**	**2,642.5**	**3,740.8**	**2,962.5**
7.6 1	ბინათმშენებლობა	77.7	-	-
7.6 3	წყალმომარაგება	1,403.2	2,084.4	1,621.0
7.6 4	გარე განათება	682.3	783.7	877.9
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	479.4	872.7	463.6
7.7	**ჯანმრთელობის დაცვა**	**208.5**	**294.9**	**319.1**
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	208.5	294.9	319.1
7.7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	-	-	-
7.8	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**3,896.4**	**5,409.9**	**5,933.3**
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2,122.9	3,020.2	3,308.5
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,686.3	2,288.1	2,524.8
7.8 3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	87.2	101.6	100.0
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	-	-	-
7.9	**განათლება**	**5,622.3**	**7,061.6**	**7,291.6**
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	4,962.3	5,905.8	6,409.8

7.9 2	ზოგადი განათლება	660.1	1,155.8	881.8
7 10	**სოციალური დაცვა**	**3,055.1**	**4,610.3**	**3,981.9**
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	39.66	695.00	900.21
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	427.7	498.8	580.9
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	2,587.8	3,416.5	2,500.9
	სულ	**38,988.6**	**51,939.8**	**45,505.2**

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო და საოპერაციო სალდო

დასახელება	**2024 წლის ფაქტი**	**2025 წლის გეგმა**	**2026 წლის გეგმა**
საოპერაციო სალდო	16,848.0	18,521.7	8,326.2
მთლიანი სალდო	- 655.9	- 6,836.5	- 9,524.0

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

დასახელება	**2024 წლის ფაქტი**	**2025 წლის გეგმა**	**2026 წლის გეგმა**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**- 834.8**	**- 5,980.3**	**- 9,689.9**
ზრდა	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	
კლება	834.8	5,980.3	9,689.9
ვალუტა და დეპოზიტი	834.8	5,980.3	9,689.9

ფინანსური აქტივების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2026 წლის განმავლობაში.

2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 9904,4 ათ ლარი, მათ შორის ადგილობრივი სახსრების ნაშთია 5505,0 ათ. ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ნაშთი სულ შეადგენს 4399,3 ათ. ლარს. აქედან 4184,9 ათ. ლარი აისახება 2026 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლებში, ხოლო 214,5 ათ. ლარი არის

თავისუფალი ნაშთი, რომელზეც მთავრობისგან მიღებული ნებართვის შემდგომ გამოიცემა შესაბამისი განკარგულება ნაშთების გამოყენების შესახებ.

2026 წლის ბიუჯეტით გადასახდელი იქნება 4184,9 ათ. ლარი. მათ შორის:

1. საქართველოს მთავრობის 2023 წლის №2401 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი – 15.6 ათ. ლარი – სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.
2. საქართველოს მთავრობის 2025 წლის №53 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი – 626.6 ათ. ლარი – სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.
3. საქართველოს მთავრობის 2024 წლის №550 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი – 42.9 ათ. ლარი, რომელიც მოხმარდება:
   - ახმეტის მუნიციპალიტეტში, თუშეთში, წოვათის მხარეს, ალტერნატიული გზისა და მასთან დაკავშირებული ნაგებობის მოწყობის სამუშაოებს – 42.9 ათ. ლარი
4. საქართველოს მთავრობის 2025 წლის №517 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი – 444.9 ათ. ლარი, რომელიც მოხმარდება:
   - ახმეტის მუნიციპალიტეტში, თუშეთში, წოვათის მხარეს, ალტერნატიული გზისა და მასთან დაკავშირებული ნაგებობის მოწყობის სამუშაოებს – 444.9 ათ. ლარი.
5. საქართველოს მთავრობის 2025 წლის №1207 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი 234.8 ათ. ლარი – „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განსახორციელებლად.
6. საქართველოს მთავრობის 2025 წლის №186 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი 1672.5 ათ. ლარი – სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება, რომელიც მოხმარდება:
   - საგზაო იფნრასტრუქტურის ნაწილში სოფელ ჯვარბოსელში მდინარე გომეწრის ალაზანზე ახალი ხიდის მოწყობის სამუშაოები – 241,9 ათ. ლარი;
   - ხანძრით მიწისძვრით და სხვა უბედურებებით დაზარალებულთა დახმარება – სახურავების რეაბილიტაციის ნაწილში 1430,6 ათ. ლარი.
7. საქართველოს მთავრობის 2025 წლის №1955 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი 421.1 ათ. ლარი, რომელიც მოხმარდება:
   - სოფელ ფიჩხოვანის და სოფელ მაღრაანის დამაკავშირებელი ქუჩა N2-ის რეაბილიტაცია – 240,3 ათ. ლარი;
   - ქ. ახმეტაში ჭავჭავაძის ქუჩის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 180,8 ათ. ლარი.
8. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის №302 დადგენილებით გამოყოფილი თანხის ნაშთი 54,2 ათ. ლარი – სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯი.
9. საქართველოს მთავრობის 2025 წლის №1604 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი 52,4 ათ. ლარი, რომელიც მოხმარდება:
   - საწვავი ბრიკეტების შეძენას – 37,4 ათ. ლარი;
   - სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის შესყიდვას – 15,0 ათ. ლარი.
10. საქართველოს მთავრობის 2025 წლის №783 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი – 70,0 ათ. ლარი – ტყე-პარკი "ბახტრიონის“ გადმოსახედების სარეაბილიტ.სამუშაოები.
11. საქართველოს მთავრობის 202 წლის №1214 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი – 550,0 ათ. ლარი მოხმარდება:

- ქ. ახმეტაში წერეთლის I ჩიხის რეაბილიტაცია – 72.5 ათ. ლარი;
- ქ. ახმეტაში წერეთლის II ჩიხის რეაბილიტაცია – 76.1 ათ. ლარი;
- ქ. ახმეტაში წერეთლის III ჩიხის რეაბილიტაცია – 75.5 ათ. ლარი;
- სოფ. მატანში მიხეილ ზურაბაშვილის მე-5 ჩიხის რეაბილიტაცია – 48.0 ათ. ლარი;
- სოფ. მატანში 36-ე ქუჩიაზე რკინა-ბეტონის გზის მოწყობა – 58.8 ათ. ლარი;
- სოფ. მატანში ქაქუცა ჩოლოყაშვილის მე-3 შესახვევის რკინა ბეტონის გზის მოწყობა – 114.2 ათ. ლარი;
- სოფ. მატანში ქაქუცა ჩოლოყაშვილის მე-4 შესახვევის რკინა ბეტონის გზის მოწყობა – 54.8 ათ. ლარი;
- ქ. ახმეტაში ბექა უშარაულის ქუჩის რეაბილიტაცია – 50,2 ათ. ლარი.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -165.9 ათასი ლარის ოდენობით.

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 165.9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	**821.2**	856.2	165.9
ზრდა	1,000.00	1,047.00	-
საშინაო	1,000.00	1,047.00	-
სესხები	1,000.00	1,047.00	-
კლება	**178,9**	190.8	165.9
საშინაო	**178,9**	190.8	165.9
სესხები	**178,9**	190.8	165.9

1. სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 31.08.2016 წელს გაფორმდა გრძელვადიანი სასესხო ხელშეკრულება „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატნის სპორტსკოლის რეკონსტრუქციისა და შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის“ შესახებ, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 1 239,3 ათ. ლარი (ძირითადი თანხა 752.5 ათ. ლარი, პროცენტი 486,8 ათ. ლარი). სესხის გადახდა დაწყებულია 2019 წლის იანვრიდან და 2024 წელს დაფარულია 926,1 ათ. ლარი. აღნიშნული სესხის გადახდა ხორციელდება ყოველი თვის ბოლოს. დაფარვის ბოლო ვადაა 2027 წლის მარტი. 2026 წელს გადასახდელი იქნება 139,2 ათ. ლარი. აქედან პროცენტი – 11.5 ათ. ლარი. ძირითადი თანხა – 127.7 ათ. ლარი. 2027 წლიდან გადასახდელი იქნება 34.9 ათ. ლარი.
2. ასევე – სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 12.07.2016 წელს გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, ფონდმა სესხის სახით განახორციელა ახმეტის მუნიციპალიტეტისათვის კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის და ნარჩენების კონტეინერის გადმოცემა. საერთო ღირებულებაა 822,9 ათ. ლარი (ძირითადი თანხა 534,1 ათ. ლარი, პროცენტი 288,8 ათ. ლარი). სესხის გადახდა დაწყებულია 2018 წლიდან და 2025 წელს დაფარულია 782,5 ათ. ლარი. სესხის დაფარვა ხდება წელიწადში ორჯერ 28 აპრილამდე და 28 ოქტომბრამდე. დაფარვის ბოლო ვადაა 2026 წლის 28 აპრილი და გადასახელი იქნება 40,4 ათ. ლარი. მ.შ ძირითადი თანხა 38,2 ათ. ლარი (პროცენტის გადასახდელი თანხა დამოკიდებულია რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებაზე).
3. სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ახმეტის მუნიციპალიტეტს იპოდრომის მშენებლობისათვის სესხის სახით ჩაერიცხა 3 600 000 ლარი. მათ შორის 2024 წელს 1,000,000 ლარი, ხოლო 2025 წელის 2 600 000 ლარი. შეიცვალა სესხის მიზნობრიობა, რის გამოც 1 553 000 ლარის უკან დაბრუნება მოხდა. სესხის თანხად განისაზღვრა 2 047 000 ლარი, რომლის მიზნობრიობაც იქნება ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში იპოდრომისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და იპოდრომისათვის განსაზღვრული ტერიტორიის მიმდებარედ, ნაპირდამცავი სამუშაოების განხორციელება. სესხი არის უპროცენტო და დაფარვის ზღვრული თარიღია 25 დეკემბერი 2027 წელი. 2026 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლებით სესხის დაფარვა გათვალისწინებული არ არის.

თავი II

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები 2026-2029 წლებისათვის

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- **ინფრასტრუქტურა;**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა;**
- **განათლება;**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;**
- **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება.**

1. **ინფრასტრუქტურა**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	**2026 წლის გეგმა**
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**14,529.1**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	**9,008.5**
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,621.0
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	560.2
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია	280.0
02 02 03	ა(ა)იპ სოფლის სასმელი წყლის მოვლა-პატრონობის ცენტრი	780.8
02 03	გარე განათება	877.9
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	350.0
02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	25.6
02 03 04	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური	502.3
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	463.6
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	463.6
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2,291.8
02 07	ტურიზმი	29.5

02 07 02	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	29.5
02 08	მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	236.8

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში
	02 01		**2026 წლის გეგმა**
			9,008.5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე შეადგენს 524,6 კილომეტრს. აქედან 37,7% (198.0 კმ) მოასფალტებულია, ხოლო დანარჩენი გრუნტის გზაა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება, ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. ასევე განხორციელდება დაზიანებული ქვაფენილების და ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია და მოპირკეთება ასფალტო–ბეტონის საფარით. აგრეთვე, პროგრამის მიზანია თუშეთში, ალტერნატიული გრუნტის გზებისა და მასთან დაკავშირებული ნაგებობების მოწყობა		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში
	02 02		**2026 წლის გეგმა**
			1,626.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის ფარგლებში შემავალ ყველა სოფელში. ამჟამად მუნიციპალიტეტის სოფლებში ფუნქციონირებს 42 ჭაბურღილი, რომელიც უზრუნველყობს მოსახლეობისთვის წყლის მიწოდებას სხვადასხვა გრაფიკით. თუმცა კიდევ რჩება წყლის პრობლემა დიდ გამოწვევად და საჭიროა ახალი ჭაბურღილების დამატება ან არსებულის რეაბილიტაცია. პროგრამის მიზანია მოსახლეობისთვის სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება.		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში
	02 02 01		**2026 წელი**
			560,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას, ახალი ჭაბურღილების მოწყობას და აღნიშნული სისტემების გამართულად ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოებას. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე მოსახლეობისთვის მუდმივი სასმელი წყლის მიწოდება.		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარებში
	02 02 02		**2026 წლის გეგმა**
			280,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურის გადახდა. 1 კვტ.სთ-ის ღირებულებაა 0.2896. ამჟამად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 42 ჭაბურღილი, რომელიც უზრუნველყოფს წყლის მიწოდებას სხვადასხვა გრაფიკით. ქვეპროგრამის მიზანია ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერგიის გადასახადის დროული გადახდა.		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარებში
	02 02 03		**2026 წლის გეგმა**
			780,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი, რომელიც უზრუნველყობს სოფლებში არსებული ჭაბურღილების მოვლა-პატრონობას და სასმელი წყლის ქსელების შეცვლა-შეკეთების სამუშაოების ჩატარებას (ძველი ქსელების შეცვლა ახლით). სასმელი წყლის სათავე ნაგებობების შეკეთება, გაწმენდა, წყლის დაქლორვას.

კოდი	**პროგრამის დასახელება**	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარებში
02 03			**2026 წლის გეგმა**
			877.9
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება. ქალაქისა და სოფლების ქუჩებში გარე განათების ახალი ქსელების მოწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელებზე გახარჯული ელექტრო-ენერგიის საფასურის გადახდა. გარე განათების მოვლა პატრონობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური. მუნიციპალიტეტის 111 სოფლიდან თუშეთის სოფლებში და ბარის 5 სოფელში არ არის ელექტრო ენერგია, მათში ელ. ენერგიით უზრუნველყოფა ხდება მზის პანელების მეშვეობით, ხოლო დანარჩენი სოფლებიდან, სადაც არსებობს ელ. ენერგია, 5 სოფლის გარდა ყველგან არის მოწყობილი გარე განათების წერტილები, ეს 5 სოფელია: ვეძები, ხევისჭალა, ახალდაბა, ჩარექაული და კოჯორი. ამ სოფლებშიც მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად ეტაპობრივად განხორციელდება გარე განათების მოწყობა. პროგრამის მიზანია მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა განათებული ქუჩებითა და გზებით. მათ შორის უზრუნევლყოფილი იქნება ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება.	
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარებში
	02 03 01		**2026 წლის გეგმა**
			350.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელებზე გახარჯული ელექტრო-ენერგიის საფასურის გადახდა.	
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	დაფინანსება ათას ლარებში **2026 წლის გეგმა** 25,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება. ქალაქისა და სოფლების ქუჩების ახალი ქსელების მოწყობა. პროგრამის მიზანია, მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა განათებული ქუჩებითა და გზებით. მათ შორის უზრუნველყოფილი იქნება ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 02 03 04	გარე განათების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარებში **2026 წლის გეგმა** **502,3**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების 70%-მდე მოწყობილია გარე განათბის სისტემები, მათ შორის მოკლე ჩართვის შედეგად ავარიული მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად ძველი სადენების დიდი ნაწილი შეცვლილია ახალი იზოლირებული სადენებით და მიმდინარეობს დარჩენილი ნაწილის შეცვლა ახლით. ასევე ხორციელდება შეკეთება-რეკონსტრუქცია დაზიანებული უბნების. ელექტრო ენერგიის დაზოგვის მიზნით ძველი ნათურები იცვლება ენერგოეფექტური ნათურებით ქვეპროგრამის მიზანია, მუნიციპალიტეტის გარე განათების სისტემები იყოს ეკონომიური და მოსახლეობას შეეძლოს ღამის განმავლობაში შეუფერხებლად გადაადგილება.		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		

პროგრამის დასახელება	კოდი 02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში **2026 წელი** 463,6

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, იერსახე და მოსახლეობის დასვენების პირობები. დაგეგმილია სკვერებისა და პარკების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვებისა და ქალების საჭიროებები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ასევე სკვერებში გახარჯული წყლის გადასახადი.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

კოდი	**პროგრამის დასახელება**		დაფინანსება ათას ლარებში
02 06		სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2026 წელი
			2291,8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა და თანხის გამოყოფა ხდება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №654-ის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მოსახლეობის რაოდენობის თაობაზე სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს თითოეული დასახლებისთვის განსაზღვრული თანხის გაანგარიშებას. თანხის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპის დაცვით: ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი; ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 12 000 ლარი; გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 16 000 ლარი; დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 20 000 ლარი.	
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.	

კოდი	**პროგრამის დასახელება**		დაფინანსება ათას ლარებში
02 07		ტურიზმი	**2026 წლის გეგმა**

			29,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საერთაშორისო პროექტების განყოფილება, რომელიც უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს აწვდის ინფორმაციას ტურისტული ინფრასტრუქტურის, ტურისტული ადგილების, ტურისტული პროგრამების, ტრანსპორტის, ბუნების ძეგლების, დაცული ტერიტორიების, არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების, კულტურული ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულებისა და სხვა საკითხების შესახებ. ახმეტის მუნიციპალიტეტში განვითარებული ტურიზმის შემდეგი სახეობები: • საფეხმავლო ტურიზმი; • საცხენოსნო ტურიზმი; • ეკო ტურიზმი; • აგრო ტურიზმი. ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით კახეთის მუნიციპალიტეტებმა დაარსეს ორგანიზაცია ა(ა)იპ „კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია – ვიზით კახეთი“. აღნიშნული ა(ა)იპ-ის მიზანია ტურიზმის დაგეგმვა და განვითარება, კახეთის რეგიონის უნიკალური თვისებების გამოყენება, როგორიცაა უძველესი ღვინის კულტურა და ღვინის წარმოების ტრადიციები, ადგილობრივი სამზარეულო, ლამაზი სოფლები, კახეთის უნიკალური ბუნება. ამით სარგებლობას იღებს როგორც ტურისტი ასევე ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები. ასევე, პროგრამის ფარგლებში მოეწყობა სხვადასხვა ტურისტლი ინფრასტრუქტურა.	
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის.	

კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში
02 07 02			**2026 წლის გეგმა**
			29,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით კახეთის მუნიციპალიტეტებმა დაარსეს ორგანიზაცია ა(ა)იპ „კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია – ვიზით კახეთი“. აღნიშნული ა(ა)იპ-ის მიზანია ტურიზმის დაგეგმვა და განვითარება, კახეთის რეგიონის უნიკალური თვისებების გამოყენება, როგორიცაა უძველესი ღვინის კულტურა და ღვინის წარმოების ტრადიციები, ადგილობრივი სამზარეულო, ლამაზი სოფლები, კახეთის უნიკალური ბუნება. ამით სარგებლობას იღებს როგორც ტურისტი ასევე, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები.	
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის.	

კოდი	**პროგრამის დასახელება**	მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში
02 08			2026 წელი
			236,8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგამის მიხედვით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა უნდა მოხმარდეს იმ პროექტ(ებ)ის განხორციელებას, რომელიც შეირჩევა მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლ(ებ)ის მეშვეობით მოქალაქეებთან გამართული კონსულტაციების შედეგად, მუნიციპალიტეტის მერისათვის წარდგენილი წერილობითი მიმართვის საფუძველზე.	
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.	

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარემოს დაცვა, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქში არსებული სასაფლაოების მოვლა-დასუფთავება. თუშეთის დაცული ლანდშაფტის მოვლა-პატრონობა; მდინარეების კალაპოტის რეგულირება, სანიაღვრე არხების მოწყობა.

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	**2026 წლის გეგმა**
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**5,597.5**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,899.3
03 02	გარემოს დაცვა	1,497.1
03 02 01	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	877.4
03 02 02	ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი	619.7
03 03	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	2,131.1
03 03 01	სანიაღვრე არხების მოწყობა	71.8
03 03 02	ხევების გაწმენდა ნატანისგან	106.6
03 03 03	სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა	40.0
03 03 04	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,912.7
03 04	დასუფთავების ღონისძიებები	70.0

პროგრამის დასახელება	კოდი 03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათას ლარებში **2026 წლის გეგმა** 1,899.3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველდღიურად დაგვა დასუფთავებას და ნარჩენების გატანას. იგვება ქ. ახმეტის ქუჩები, რომლის საერთო ფართია 97000 კვ.მ, ასევე სოფელ მატანის და ზემო და ქვემო ალვანის ქუჩები. კვირაში სამჯერ სუფთავდება ცენტრალური გზები გადანაყარისაგან. ხდება სანიაღვრე არხების გაწმენდა, რომლის საერთო სიგძეა 430 კმ, გრაფიკის მიხედვით ხორციელდება ნარჩენების გატანა გულგულის ნაგავსაყრელზე. პერიოდულად ითიბება ცენტრალური ქუჩების მიმდებარე ტერიტორიები და სუფთავდება ანასხლავი ტოტებისგან. პროექტის „ფართო ალიანსების ჩამოყალიბება სოფლის განვითარების მხარდასაჭერად – FORWARD” ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ავსტრიის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ახმეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) თანხმობითა და ნებართვით, ასევე, ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის თანადაფინანსებით შემენილ იქნება 140 ერთეულ ნაგვის ურნა (თანადაფინანსება იქნება საერთო ღირებულების 50%) პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა. ნარჩენების სწორად მართვა და დახარისხება, განხორციელდება ცალკეული ტერიტორიების მწვანე საფარის, ქუჩებისა და სხვა საჯარო სივრცეების დაგვა-დასუფთავების, მორწყვა-მორეცხვის, სანიაღვრე არხების ნატანისაგან გაწმენდის სამუშაოები.		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		

პროგრამის დასახელება	კოდი **2026 წლის გეგმა**	გარემოს დაცვა	დაფინანსება ათას ლარებში **2026 წლის გეგმა** 1,497.1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია; ა(ა)იპ "თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია", ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თუშეთის დაცული ლანდშაფტის, სამუხის ტერიტორიის, ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	დაფინანსება ათას ლარებში

	03 02 01		**2026 წლის გეგმა** 877.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	„ახმეტის მუნიციპალიტეტი ქვეყანაში პირველი მუნიციპალიტეტია, რომელიც 2011 წლიდან მართავს დაცულ ტერიტორიას, კერძოდ, თუშეთის დაცულ ლანდშაფტს. 2023 წლიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის საშუალებით დაიწყო „ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის“ მართვა, ხოლო 2026 წლიდან სოფელ ტბათანას და მიმდებარე ტერიტორიებს მიენიჭა დაცული ლანდშაფტის სტატუსი და თუშეთის დაცული ლანდშაფტის საზღვრებში მოექცა. რის შედეგადაც გაიზარდა თუშეთის დაცული ტერიტორიის ფართობი. აღნიშნული ცვლილება და ტბათანას დაცული ლანდშაფტის საზღვრებში მოქცევა ხელს შეუწყობს თუშეთის დაცული ლანდშაფტის დაარსების ძირითად მიზნების მიღწევას,აგრეთვე,ამ გაფართოებით შეიქმნება ეკოლოგიური პროცესების უწყვეტობა ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალს, ილტოს აღკვეთილსა და თუშეთის დაცული ტერიტორიებს შორის, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში დაცული ტერიტორიების ურთიერთდაკავშირებული ქსელის ჩამოყალიბებას. ადმინისტრაციას აქვს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმა და მასში განსაზღვრულია შემდეგი მიზნები და ამოცანები: 1. უნიკალური ეკოსისტემების, ცალკეული ბუნებრივი კომპონენტების ანთროპოგენიზაციის შედეგად გადაგვარება–დაღუპვისგან დაცვა. 2. უმდიდრესი ეროვნული მემკვიდრეობის – ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლთა და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნება. 3. ხალხური შემოქმედების ტრადიციათა შენარჩუნება და განვითარება. 4. თუშეთის უნიკალური ისტორიული დასახლებების ტრადიციული იერსახის შენარჩუნება, დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე სივრცითი დაგეგმარების სისტემის შემუშავება, 5. ადგილობრივი მოსახლეობისათვის საშეშე და სამასალე მერქნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. 6. ტყის მავნებლების გამრავლებისა და ხანძრების თავიდან აცილების ეფექტური სისტემების შემუშავება. 7. ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის შესწავლა და განვითარების მხარდაჭერა. 8. თუშეთში მუდმივმაცხოვრებელი მოსახლეობის მოტივირება, საძოვრების მდგრადი მართვის სისტემის შექმნა. 9. ძირითადი ტურისტული ბილიკებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა. 10. თუშეთის ენდემური მცენარეული კულტურებისა და ცხოველთა ჯიშების (თუშური ცხვარი, თუშური ცხენი) დაცვის სტრატეგიის შემუშავება. 11. დაცულ ლანდშაფტში გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების სტაბილური რაოდენობის უზრუნველყოფა. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიი შექმნის მიზნებია: 1. ქურციკის (Gazella subgutturosa) პოპულაციის აღდგენა, დაცვა და მოვლა. 2. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე ბუნებრივი ეკოსისტემების, ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტების, ძეგლების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, განსაკუთრებით, საფრთხის წინაშე მყოფ მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის, დაცვის, აღდგენისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების უზრუნველყოფა. 3. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისთვის მიკუთვნებული წყლის ობიექტების ბუნებრივი ბიოეკოლოგიური რეჟიმის დაცვა და უწყვეტი მონიტორინგის განხორციელება. 4. გარემოს დაცვის მოთხოვნებისა და ქურციკის პოპულაციის აღდგენის საჭიროებების გათვალისწინებით, ორგანიზებული და განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა. 5. ადამიანსა და ბუნებას შორის დაბალანსებული ურთიერთობის განვითარება და გაძლიერება. 6. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და ტრანსსასაზღვრო დონეზე. 7. სამეცნიერო კვლევა და გარემოს მონიტორინგის წარმოება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის კუთხით. 8. საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელის გაძლიერება და ერთიანობის ხელშეწყობა. ვინაიდან, ზემოაღნიშნულ ამოცანათა გადასაჭრელად ადმინისტრაციის საბაზისო ბიუჯეტი საკმარისი არ არის, საჭირო ღონისძიებათა უდიდესი ნაწილი ფინანსდება საერთაშორისო ფონდებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მიერ. ააიპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია"-ის სტრატეგიას წარმოადგენს საკუთარი სახსრების მოზიდვა მისი წესდებით ნებადართული საქმიანობით: სატყეო მომსახურება, დაცულ ტერიტორიაზე შესასვლელი ნებაყოფლობითი გადასახადის დაწესება და ა.შ. თუშეთის შიდა საავტომობილო გზებს ყოველწლიურად ესჭიროება აღდგენა-რეაბილიტაცია, რის გამოც თდლ-ს ადმინისტრაციას გადაეცა სამი ერთეული საგზაო სპეც. ტექნიკა და კონკრეტული ფინანსური რესურსი. ზემო აღნიშნული ფინანსურ-ტექნიკური რესურსის მეშვეობით, თდლ-ს ადმინისტრაციამ არამხოლოდ უზრუნველყო თუშეთის ყველა ხეობაში (ჭანჭახოვანი, ჩაღმა, გომეწარი, პირიქითი, წოვათა)		

	ყოველწლიური გზის გაწმენდა- შენარჩუნება სეზონის განმავლობაში, არამედ შეძლო წლების მანძილზე საავტომობილო გზის გარეშე მყოფი ხეობებისა და სოფლების (წოვათის ხეობის 7 და გომეწრის 1 სოფელი) გარესამყაროსთან დაკავშირება. მოიხრეშა და გაკეთდა წლების განმავლობაში ხეობის ცალკეული დახრამული და დაზიანებული მონაკვეთები და სოფლების ქუჩები, ამოიცვალა დაზიანებული ხიდ-ბოგირები. ადმინისტრაციის ტექნიკა, ექსკავატორი თუ თვითმცლელი ემსახურება აგრეთვე თუშეთის სხვადასხვა სოფლის სასმელი წყლის სისტემის დაზიანებული ადგილების შესაკეთებლად საჭირო სამუშაოების შესრულებას და ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა კერძო სამუშაოების შესასრულებლად.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 15: ხმელეთის ეკოსისტემის დაცვა, აღდგენა და ხელშეწყობა, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენაგაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შეჩერება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 03 02 02	ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარებში **2026 წლის გეგმა** 619,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ორგანიზაცია ახორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა („წყაროების", „ბახტიონის", „შვეიცარიის", „ხორხელის") და სასაფლაოებზე მისასვლელი ბილიკების დაგვა და დასუფთავებას, გამწვანებას, ამორტიზირებული ხეების მოჭრას, მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩენილი მიცვალებულებისათვის გამოყოფილი ადგილის დასუფთავებას. ხდება ტყე-პარკი „წყაროების“ ტერიტორიის შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობა, რეგულარული დაგვა-დასუფთავება და გამწვანება. ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების სხვადასხვა სახის დახმარება, (სახურავის შერემონტება, შეშით დახმარება). ტყე-პარკ „წყაროებში" წელიწადში ხდება 3-4 ჯერ გათიბვა, გაწმენდა ეკალ-ბარდისგან, სეზონზე ყოველდღიურად იგვება და სუფთავდება მთელი ტერიტორია. ტყე-პარკი „ბახტრიონი “ გაწმენდა ბალახისა და ჯაგნარისაგან გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე. შედარებით ნაკლები სამუშაოები ტარდება ტყე-პარკ „შვეიცარიასა“ და ტყე-პარკ „ხორხელში". ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ახმეტის 3 და 1 საბეროს სასაფლაოების ყოველ გაზაფხულზე, შუა ზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე გათიბვა, გაწმენდა ეკალ -ბარდისგან.		

კოდი 03 03	**პროგრამის დასახელება**	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	დაფინანსება ათას ლარებში **2026 წლის გეგმა** 2131.1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარემოს დაცვის მიმარულებით, ისეთი ქვეპროგრამები როგორიცაა სანიაღვრე არხების მოწყობა, ხევების გაწმენდა ნატანისგან, სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია	
		მიზანი 15: ხმელეთის ეკოსისტემის დაცვა, აღდგენა და ხელშეწყობა, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა	

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შეჩერება მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე

კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	სანიაღვრე არხების მოწყობა, რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში
03 03 01			**2026 წლის გეგმა**
			71.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა – რეაბილიტაცია, რის შედეგად უხვი ნალექების პირობებში მოსახლეობა დაცული იქნება ეზოების და პირველი სართულების დატბორვისგან. კომფორტული გახდება აღნიშნული გზით მოსარგებლე მოსახლეობის გადაადგილება.	
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება; მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება.	

კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	ხევების გაწმენდა ნატანისგან	დაფინანსება ათას ლარებში
03 03 02			**2026 წელი**
			106.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამით განხორციელდება მდინარეების, ხევებისა და სარწყავი არხების გაწმენდა ნატანისაგან, რათა სამომავლოდ უზრუნველყოფილი იყოს სტიქიის პრევენცია.	
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება; მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება.	

კოდი			დაფინანსება ათას ლარებში

03 03 04	**ქვეპროგრამის დასახელება**	ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	**2026 წელი** 1912.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამით განხორციელდება მდინარეებსა და ხევებზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება. მოეწყობა ქვის გაბიონები საჭიროებისამებრ, რათა სამომავლოდ უზრუნველყოფილი იყოს სტიქიის პრევენცია. ხოლო სტიქიის შედეგად მინიმალური ზიანი მიადგეს როგორც სასოფლო სამეურნეო სავარგულებს, ასევე საცხოვრებელ სახლებსა და ეზოებს.	
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება; მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება.	

კოდი 03 04	**პროგრამის დასახელება**	დასუფთავების ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში 2026 წ. 70.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა		პროგრამით განხორციელდება ნაგვის ურნების შეძენა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ნარჩენების შეგროვება და სუფთა გარემოს ხელშეწყობა	

3. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. საბავშვო ბაგა–ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს ქალაქის საგანმანათლებლო–სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, ამ კუთხით მიზანმიმართული ღონისძიებების პრაქტიკის დანერგვას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო–სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათი ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას;

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	**2026 წლის გეგმა**

04 00	**განათლება**	**7,291.6**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	6,409.8
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება ა(ა)იპ ს.ბაღების ცენტრი	6,409.8
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (საბავშვო ბაღების არაფინანსური მერიაში)	-
04 02	ზოგადი განათლება	881.8

პროგრამის დასახელება	კოდი **04 01**	სკოლამდელი განათლება	დაფინანსება ათას ლარებში **2026 წლის გეგმა** 6,409.8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	***ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სკოლამდელი განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური***		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოში უზრუნველყოფილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებაში ბავშვთა უფასო აღზრდა და განათლება, აგრეთვე მათი კვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლამდელი აღზრდა და განათლება, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამა, არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამის ბავშვებისთვის მიწოდებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 36 საბავშვო ბაღიდან სრულად რეაბილიტირებულია 12 საბავშვო ბაღი, 22 ნაწილობრივ რეაბილიტირებული, ხოლო 2 საბავშვო ბაღი განთავსებულია იჯარით აღებულ შენობაში. პროგრამის მიზანია, საბავშვო ბაღების შენობა ნაგებობების სრული რეაბილიტაცია და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და მათი სკოლისთვის მომზადება. ის ითვალისწინებს ბავშვის ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას, ხელს უწყობს ინდივიდუალური და პიროვნული თვითგამოხატვის უნარების გამოვლენასა და ესთეტიკური გემოვნების აღზრდას.		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი **04 01 01**	სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარებში **2026 წლის გეგმა** 6,409.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ა.ა.ი.პ. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი"**		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის აღწერა: სამოქმედო პროგრამა ძირითადად მოიცავს 3 მიმართულებას: 1. სასწავლო სააღმზრდელო სისტემის სრულყოფა; 2. სრულფასოვანი მრავალმხრივი კვებითი ღირებულების მენიუ. მისი ყოველდღიური დაცვა და კონტროლი; 3. ბავშვებში ცხოვრების ჯანსაღი წესის და გარემოზე ზრუნვის უნარების ჩამოყალიბება. გარდა იმისა რომ სკოლამდელი დაწესებულებების საშუალებით სახელმწიფო ზრუნავს ბავშვთა სრულყოფილ განვითარებასა და განათლებაზე, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების არსებობა ხელს უწყობს ბავშვის მშობლებს, მუნიციპალიტეტის ქალებს გამონახონ დრო და შვილების აღზრდასთან ერთად დაკავდნენ საზოგადოებრივი ცხოვრებით. მოახდინონ თვითრეალიზაცია, დასაქმდნენ სხვადასხვა სფეროში და მიიღონ შემოსავალი. ახმეტის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 36 საბავშვო ბაღი. სტატისტიკით რეგისტრირებული 1249 ბავშვიდან გოგონათა რაოდენობაა 737 ბიჭების 512 ყოველდღიური დასწრება საშუალოდ არის 700 ბავშვი. კვების თანხა გათვალისწინებული იქნება დღეში 6,00 ლარი, 170 დღეზე სულ 700000 ლარი. პროექტის „ფართო ალიანსების ჩამოყალიბება სოფლის განვითარების მხარდასაჭერად – FORWARD" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ავსტრიის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ახმეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) თანხმობითა და ნებართვით, ასევე, ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების თანადაფინანსებით შეძენილ იქნება 8 სარეცხი მანქანა და 8 საშრობი (ა(ა)იპის თანადაფინანსება იქნება საერთო ღირებულების 45,9%) ქვეპროგრამის მიზანია: ა)ინკლუზიური განათლების დანერგვა; ბ)აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადება; გ) სრულფასოვანი მრავალმხრივი კვებითი ღირებულების მენიუ, მისი ყოველდღიური დაცვა და კონტროლი; დ) აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში გასეირნებები და ექსკურსიები.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის; მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე.

პროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში
	04 02		**2026 წლის გეგმა**
			881.8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სკოლამდელი განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური**		
პროგრამის აღწერა და მიზანი	1. ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივითა და მხარდაჭერით ყოველ წელს დაჯილდოვდებიან მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარჩინებული კურსდამთავრებულები. აღნიშნული ღონისძიება იქნება დიდი სტიმული ახალგაზრდებისათვის იყვნენ უფრო მეტად წარმატებულნი, მიიღონ სათანადო განათლება, რადგან განათლებული ადამიანი არის საძირკველი ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის და უკეთესი მომავლის. ამ კამპანიის ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტში 2025-2026 სასწავლო წელს კურსადმთავრებებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო. მათ შორის ოქროსმედალოსნებს 500 ლარი, ვერცხლისმედალოსნებს 400 ლარი. 2. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები, შეძენილ იქნება საწვავი ბრიკეტები და სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება.		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი,	მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის		

რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	შექმნა ყველასათვის.

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული მონაცემების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს. გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ბიბლიოთეკების, მუზეუმების, ხელოვნების სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	**2026 წლის გეგმა**
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**5,943.3**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	3,308.5
05 01 01	ა(ა)იპ ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანება	1,405.8
05 01 02	ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა "ბახტრიონი"	459.7
05 01 03	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	55.5
05 01 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1,387.5
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,403.8
05 02 01	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	1,539.1
05 02 02	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება	864.7
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	131.0
05 04	ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი	100.0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01		**2026 წლის გეგმა**
			3,308.5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სკოლამდელი განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
	ახალგაზრდების სპორტით დაინტერესების და ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით,		

პროგრამის აღწერა და მიზანი	განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მოეწყობა შეჯიბრებები და სახელობითი ტურნირები, თითოეული სპორტსმენი ცალკე და სხვადასხვა ასაკობრივი გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებებზე. უკეთსი მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით, მოხდება სპორტული ინვენტარის შეძენა და განახლება, სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ა.შ
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება; მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01		**2026 წლის გეგმა**
			1,405.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება-ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კომპექსური სკოლა უზრუნველყოფს სწავლებას სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში (8 -დან 30 წლამდე). სპორტსმენები იღებენ მონაწილეობას რეგიონალურ, საქართველოს, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე. ტარდება სპორტული შეკრებები. კომპლექსურ სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 10 სპორტული სახეობა და ვარჯიშობს 740 სპორტსმენი. აქედან 602 არისბიჭი, 138 არის გოგო. • კალათბურთი 130 ბავშვი, მათ შორის 90 გოგო • ძიუდო – 300 ბავშვი, მათ შორის 24 გოგო • მკლავჭიდი 56 ბავშვი მათ შორის 4 გოგო • კინგბოქსი – 50 ბავშვი მათ შორის 4 გოგო • თავისუფალი ჭიდაობა – 18 ბავშვი მათ შორის 4 გოგო • საცხენოსნოსპორტი 27 ბავშვი მათ შორის 10 გოგო • რაგბი 64 ბიჭი • კრივი – 35 ბავშვი მათ შორის 2 გოგო • ათლეტიზმი – 25 ბიჭი. • ბერძნულ რომაული ჭიდაობა 35 ბიჭი ორგანიზაციაში მოქმედი სპორტულ სექციებში ძირითადად დასაქმებული არიან მამაკაცები. მწვრთნელთა შორის მხოლოდ ერთია ქალი (კალათბურთის მწვრთნელი) დანარჩენი ქალები (17) დასაქმებულები არიან ადმინისტრაციაში. ქვეპროგრამის მიზანია, სპორტული სახეობების განვითარება, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება; მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა "ბახტრიონი"	დაფინანსება ათას ლარებში
			2026 წლის გეგმა

	05 01 02		459,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სკოლის გარეშე სპორტული დაწესებულება ახმეტის საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საფეხბურთო სკოლა უზრუნველყოფს სწავლას ფეხბურთის მიმართულებით 13 მწვრთნელის მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს (5 წლიდან -18 წლამდე) 323 სპორტსმენს (ბიჭები). სკოლის სპორტსმენები მონაწილეობენ ჩემპიონ ლიგა (2011) გათამაშების ტურნირზე და კახეთის ჩემპიონატზე, სკოლა ყოველწლიურად გეგმავს ბიუჯეტიდან გამომდინარე შეძლებისდაგვარად მოაწყოს საზაფხულო სპორტული შეკრებები, აგრეთვე გეგმავს და ანხორციელებს ღონისძიებებს ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით. ხელს უწყობს მის დანერგვას და პოპულარიზაციას. სკოლის ბაზაზე არის სასტუმროს შენობა და ჩვენი ინტერესია მოვიზიდოთ სპორტსმენები, რომლებიც გაივლიან სპორტულ შეკრებას ჩვენს სასტუმროში, სადაც სპორტსმენებისთვის არის დამაკმაყოფილებელი პირობები. ამით ჩვენს სკოლას ექნება საკუთარი შემოსავალი. ამ შემოსავლით უკეთეს პირობებს შევუქმნით ჩვენი სკოლის სპორტსმენებს.		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება; მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 04		**2026 წლის გეგმა**
			1,387.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	უკეთესი მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით, მოხდება სპორტული ინვენტარის შეძენა და განახლება, სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ა.შ		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	**კულტურის სფეროს განვითარება**	დაფინანსება ათას ლარებში
	05 02		**2026 წლის გეგმა**
			2403,8
პროგრამის დასახელება	ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		

პროგრამის აღწერა და მიზანი	ახმეტის მუნიციპალიტეტში კულტურისა და ხელოვნების პოლულარიზაციის მიზნით მოხდება კულტურისა და სხვადასხვა სახელოვნებო დარგებისა და კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა. პროგრამის მიზანს, ასევე, წარმოადგენს კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვა და შენარჩუნება
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარებში
			2026 წლის გეგმა
	05 02 01		1539,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)ი.ჰ. ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	წლის განმავლობაში დაგეგმილია 45 მხატვრულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 14 სიმღერისა და ცეკვის წრე (როგორც ქ.ახმეტაში ისე სხვადასხვა სოფლებში), სადაც დაკავებულია 261 ბავშვი. მათ შორის 151 გოგონაა. კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 7 სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ჩვენი მუშაობით ვფიქრობთ კულტურულ ღონისძიებებში, რაც შიძლება ბევრი ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას, კულტურული მიმართულებების ხელშეწყობას რათა რაც შეიძლება მეტი ბავშვი დაკავდეს სხვადასხვა სახის წრეებით. ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაშია ოთხი მუზეუმი: ახმეტის ისტორიის მუზეუმი, რაფიელ ერისთავის სახლ მუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმი, იგეგმება ახალი ექსპონატების შემატება ინვენტარიზაცია, პასპორტიზაცია, მუზეუმების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შესაბამისი ღონისძიებების გამართვა რათა გაიზარდოს მუზეუმების ცნობადობა, გაიზარდოს ვიზიტორების რაოდენობა. საბიბლიოთეკო გაერთიანების ბაზაზე ფუნქციონირებს ქ.ახმეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა და 10 სასოფლო ბიბლიოთეკა, მკითხველის მოზიდვის მიზნით იგეგმება ახალი წიგნების და ჟურნალ გაზეთების შეძენა, კატალოგიზაცია, ბიბლიოთეკებში განაწილება, სხვადსხვა სახის ღონისძიებების მოწყობა (ლიტერატურული საღამოები, გასვლა საჯარო ადგილებში ახალი წიგნების გამოფენა, ცნობილი შემოქმედი ადამიანების მოწვევა ბიბლიოთეკაში მათი საღამოების ორგანიზება...), მკითხველის მოზიდვის მიზნით, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, შენარჩუნება. ახმეტის მუნიციპალიტეტი საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული მუნიციპალიტეტია ისტორიული ძეგლების რაოდენობის მხრივ, ძეგლთა დაცვა მუდმივად ახდენს მათ მოვლა-პატრონობას, ფოტოდოკუმენტირებას, პასპორტიზაციას, ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით გამოიცა წიგნი „ახმეტის მუნიციპალიტეტის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა“. სამსახური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ, ძეგლთა დაცვის საგენტოს მუდმივად აწვდის ინფორმაციის ახალი ობიექტების შესახებ რათა მოხდეს მათთვის სტატუსის მინიჭება რაც უზრუნველყოფს მათ დაცვა – შენარჩუნებას. ქვეპროგრამის მიზანია საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში, მეტი ბავშვის დაკავება სხვადასხვა სახის წრეებით. მუზეუმების შენობების მოვლა პატრონობა მათ შემდგომი განვითარება, ვიზიტორების მოზიდვა. ბიბლიოთეკების შენობების მოვლა პატრონობა, წიგნადი ფონდის განახლება, მკითხველის დაინტერესება და მოზიდვა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ისტორიულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა პატრონობა, პოპულარიზაცია, შეუსწავლელი ძეგლების გამოვლენა ფოტოდოკუმენტირება.		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი		

ემსახურება ქვეპროგრამა	განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარებში
			2026 წლის გეგმა
	05 02 02		864,7

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება
ქვეპროგრამის ღწერა და მიზანი	სკოლა ემსახურება მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. სკოლა ასევე უზრუნველყოფს მომავალი თაობების ცოდნის გაღრმავებას. ამისათვის სკოლაში არსებობს: • სამხატვრო განყოფილება ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია 174 ბავშვი – მათ. შორის 129 გოგო • თიხა-კერამიკის სახელოსნო – 20 ბავშვი – 14 გოგო, 6 ბიჭი • ქართული დამწერლობის და ლიტერატურული მემკვიდრეობის შემსწავლელი წრე – 4 გოგო • თექა და ქარგვა – 23 მოსწავლე – აქედან 23 გოგო • ჭადრაკის წრე – 25 ბავშვი, მათ შორის 4 გოგო და 21 ბიჭი • მუსიკალური წრე- სტუდია „ბასტი-ბუბუ“ 21 ბავშვი, აქედან 14 გოგო 7 ბიჭი • სამუსიკო სკოლების გაერთიანება – 254 ბავში, მათ შორის გოგო 190 და 64 ბიჭი ხელოვნების დარგების შესწავლა შეუძლიათ როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე სკოლადამთვარებულბს და ზრდასრულებს, დიასახლისებს, პენსიონერებს, რომელიც ხელს შეუწყობს ქალთა ჩართულობის გააქტიურებას ეკონომიკურ პროცესებში, ადგილობრივ დონეზე, რადგან აქ ნასწავლი ხელოვნება შეიძლება მომავალში გახდეს მათი შემოსავლის წყარო. ბასტი-ბუბუს წრეზე ხდება სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათის და ახალგაზრდებისათვის სრულიად უფასოდ საესტრადო სიმღერების სწავლება, მათი ჩართულობით მუნიციპალურ და სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. მუსიკას ეუფლებიან როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებიც, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით, მონდომებით იძენენ ცოდნას და ხალისით იღებენ მონაწილეობას კონცერტებსა და ღონისძიებებში. სამუსიკო სკოლების გაერთიანება ემსახურება ახალგაზრდების მუსიკალური ხელოვნების საფუძვლების გაცნობას მათი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას, მუსიკალური ხელოვნების სფეროში ინდივიდუალური შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას და შენარჩუნების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. ასევე ხელს უწყობს ქართული ფოლკლორისა და ქართული სიმღერების შესწავლას. გაერთიანებაში შედის 5 სამუსიკო სკოლა: ახმეტის, სოფელ მატნის, ზემო ალვანის, ქვემო ალვანის და დუისის სამუსიკო სკოლები. სწავლის გადასახადი ერთ მოსწავლეზე შეადგენს 10 ლარს. გაერთიანებასთან ფუნქციონირებს ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ჯვარი ვაზისა" პროექტის “ფართო ალიანსების ჩამოყალიბება სოფლის განვითარების მხარდასაჭერად – FORWARD” ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ავსტრიის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ახმეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) თანხმობითა და ნებართვით, ასევე, ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანების თანადაფინანსებით შეძენილ იქნება 4 პიანინო და 1 თიხის საზელი დაზგა (ა(ა)იპის თანადაფინანსება იქნება საერთო ღირებულების 51,1%) ქვეპროგრამის მიზანია ნიჭიერ ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდა
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე

პროგრამის დასახელება	კოდი 05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარებში **2026 წლის გეგმა** 131.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: • ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრების გამოფენა-პლენერი (აქსესუარების, პრიზების, საჩუქრების შესაძენად); • ლიტერატურული კონკურსი (ესე); • მხიარულთა და საზრიანთა კლუბი (მსკ); • ახალგაზრდული აქტივობები: - დედაენის დღე – 14 აპრილი; დასუფთავების აქცია - შშმ პირთა ინტეგრაციის ღონისძიება • ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიება (ასფალტზე ხატვის ორგანიზება, კონცერტი, გამოფენის მოწყობა, ფერების ფესტივალი,ანიმატორების მოწვევა) • საზაფხულო ბანაკები, მათ შორის: ახალგაზრდული აქტივობები – დისკოთეკები, კონცერტები, გასვლითი შეხვედრები სოფლებში. ახალგაზრდული აქტივისთვის ლაშქრობების და ექსკურსიების ციკლი „ შეიცანი შენი მხარე'' (კვეტერა, თორღვა-პანკელის ციხე, ალვნის ცხრაკარა, ბახტრიონის ციხე, ალავერდი, გრემი-ნეკრესი, იყალთოს აკადემია, მცხეთა, დავით-გარეჯი, წინანდალი, ერეკლეს სახლმუზეუმი...); • ქაქუცა ჩოლოყაშვილის-საიუბილეო თარიღის აღნიშვნა; • თუშეთში მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული აქტივის წაყვანა „მეცხვარის დღის'' აღსანიშნავად; შაბათობა ჯოყოლოს ქართულ ეკლესიაში; ილტოს ხეობის სოფლების და მოწვეული სტუმრების მონაწილეობით კაფიაობა-ლექსობის ჩატარება; • ახალი სასწავლო წლის დაწყების მილოცვა – კონცერტი; • ახალგაზრდული საზაფხულო ფესტივალი კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მონაწილეობით -დამეგობრების ფესტივალი; • პროექტის „ცოცხალი წიგნის'' ფარგლებში შეხვედრა თანამედროვე პოეტებთან და მწერლებთან ; • ტურები „რა,სად, როდის ?"(მაისი- ნოემბერი); • საგანმანათლებლო მედია-პროექტი „ეტალონი" ; • ახალგაზრდა შემოქმედთა პოეზიის საღამო, შეხვედრები ახალგაზრდულ კლუბში, მათ შორის გასვლითი – სოფლის აქტივთან და დასუფთავების აქციები (წლის განმავლობაში) საახალწლო ღონისძიებების კვირეულში ჩართვა; • ტრანსპორტირების ხარჯები – წლის განმავლობაში ; • ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების განხორციელება; • საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ტექნოპარკების (ახმეტა) ფინანსური მხარდაჭერა და ფინანსური თანამონაწილეობა რეგიონში ახალგაზრდების, სტარტაპების და მცირე ბიზნესების შესაძლებლობების ზრდის ხელშეწყობა; • სასკოლო კონკურსი – ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში ახალგაზრდებში შემოქმედებითი აზროვნების წახალისება; • ბანაკი 14 წლის ზემოთ ახმეტის მუნიციპალიტეტის გოგონებისთვის; • ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები წარჩინებული სტუდენტებისათვის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სახელობის მუნიციპალური სტიპენდიის გაცემა – წარჩინებული სტუდენტისათვის სტიპენდიის ოდენობა, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, სემესტრში შეადგენს: ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე – 625 (ექვსას ოცდახუთი) ლარს; ბ) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე – 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარს; გ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე – 1000 (ათასი) ლარს.". სტიპენდია გაიცემა სემესტრულად, სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს ორჯერ, სალექციო კურსის წინა სემესტრის შედეგების შესაბამისად.		

	ქვეპროგრამის მიზანია, ახმეტის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების გააქტიურება, სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, პიროვნული პოტენციალის რეალიზება და მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ეთნიკურ უმცირესობებთან ინტეგრირების ხელისშეწყობა, ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ ინიცირებული სასარგებლო პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, კონკურსის წესით საუკეთესო ინიციატივების შერჩევა და პრიორიტეტის მინიჭება, მათგან ყველაზე კრეატიულისა და ინოვაციურისათვის.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საინფორმაციო ცენტრი	დაფინანსება ათას ლარებში
	05 04		**2026 წლის გეგმა**
			100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "ახმეტის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გაზეთი „ბახტრიონი“ გამოდის თვეში ორჯერ, ერთი ნომერი 500 ეგზემპლარია, ბეჭდვის ღირებულება 180 ლარი. წელიწადში ორჯერ გამოიცემა სპეც. ნომერი. გაზეთი ვრცელდება მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით. მოსახლეობას საშუალება ეძლევა უფასოდ მიიღონ გაზეთი და გაეცნონ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებს. ისინი აქტიურად არინ ჩართულები, როგორც მკითხველის რანგში, ასევე გაზეთში რაიმე სახის ინფორმაციის მოწოდებაში. გაზეთი ხელს უწყობს შემოქმედი ახალგაზრდების ნიჭის გამოვლენას. მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები თავის ადმინისტრაციულ ერთეულში აქტიურად ავრცელებენ გაზეთს, გარდა ამისა, ისინი ასევე თანამშრომლობენ და აწვდიან ნებისმიერი სახის ინფორმაციას. რედაქციას გააჩნია საარქივო მასალები, რომელიც მოიცავს 70-იანი წლების ისტორიას მუნიციპალიტეტში არსებულ ბეჭდვითი მედიის შესახებ, ასევე ფოტომასალის სახით. დაინტერესებული პირები აკითხავენ ამ მიზნით გაზეთს და ადგილზე ეცნობიან მათთვის სასურველ ინფორმაციას. გაზეთი საშუალებას აძლევს ნებისმიერ მოქალაქეს გაზეთის ფურცლებზე გამოხატოს თავისი აზრი. თავისი მასალების შინაარსით ცდილობს იყოს შუამავალი ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის და ის პრობლემები, რომელიც რეალურად დგას ჩვენი მოქალაქეების წინაშე, ხელისუფლებას გააცნოს გაზეთის საშუალებით. ქვეპროგრამის მიზანია გაზეთის მეშვეობით მოსახლეობის ინფორმაციულობის გაზრდა და ჩართულობა.		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე.		

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**4,301.0**
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	319.1
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	319.1
06 02	სოციალური დაცვა	3,888.0
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	761.0
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	580.9
06 02 03	ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური უბედურებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება	1,499.7
06 02 04	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	16.0
06 02 05	ა(ა)იპ სოციალური სახლი	891.3
06 02 06	პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის პროგრამა	139.2
06 03	მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურება	43.9
06 04	წითელი ჯვრის საზოგადოების თანადაფინანსება	50.0

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის პროგრამები	დაფინანსება ათას ლარებში
	06 01		**2026 წლის გეგმა**
			319.1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვთა უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ჯანდაცვის მართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები, რომელიც გაგრძელდება ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) შესაბამისად. ძირითადი მიზანია სამოქმედო ტერიტორიის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული ფუნქციების განხორციელების გზით;		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარებში
	06 01 01		**2026 წლის გეგმა**
			319.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	'ააიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	„ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის „რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სჯდ ცენტრებისათვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციის და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებების. კომპონენტი “ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის „მალარიისა და სხვა ტრანსმისიური (დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო, ლეიშმანიოზი და სხვა) დაავადების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესების“ კომპონენტის „მალარიის კერებში დაავადებაზე სავარაუდოდ საეჭვო პირების სკრინინგული კვლევის ქვეკომპონენტი . ააიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სავალდებულო მოვალეობების განხორციელება. ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის მუნიციპალური პროგრამა. აგრეთვე ხორცილედება გეგმიური აცრები შემდეგი დაავადებების წინააღმდეგ: 1. ტუბერკულოზი 2. ბ ჰეპატიტი 3. დიფტერია 4. ყივანახველა 5. ფემოფილუს ინფლუენსა 6. პოლიომიელიტი 7. წითელა 8. წითურა 9. ყბაყურა 10. როტა ვირუსი 11. პნევმოკოკური პნევმონია 12. პაპილომა ვირუსი 13. ტეტანუსი 14. ცოფის 15. გრიპის 16. კოვიდის უშუალოდ აცრის პროცესი ხორციელდება ევექსის კლინიკაში, დუისის რეგიონალურ ჯანდაცვის ცენტრში და სოფლის ამბულატორიებში. ქვეპროგრამის მიზანია სამოქმედო ტერიტორიის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული ფუნქციების განხორციელების გზით;		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.		

სოციალური პროგრამები

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური პროგრამები	დაფინანსება ათას ლარებში
	06 02		**2026 წლის გეგმა**
			3,888.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვთა უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას.		

პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაეთა სამედიცინო ხარჯების დაფინანსება (მკურნალობის, ოპერაციის, გამოკვლევების, მედიკამენტების) მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სამმობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, ასევე „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურება ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ბავშვის უფლებების დაცვა, ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერა, ბავშვის ოჯახის გაძლიერება და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ახმეტის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0-18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების ან/და სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამის თანადაფინანსება
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	დაფინანსება ათას ლარებში
	06 02 01		**2026 წლის გეგმა**
			761,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვთა უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	• ეკონომიკურად გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარში ჩატარებული მკურნალობის, ოპერაციის, გამოკვლევების დაფინანსება, მკურნალობის დაფინანსება მწვავე გადაუდებელ შემთხვევებში, ცერებრალური დამბლით დაავადებული, ფსიქომოტორული და სხვა მოტორული პათოლოგიის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისათვის საჭირო პროცედურების დაფინანსება (გარდა ესთეტიკური ქირურგიის, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის და ლოგოპედის მომსახურებისა) წლის განმავლობაში არა უმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა. 18 წლამდე ასაკის ბავშვების სტაციონარული მომსახურება დაფინანსდება 100%-ით თუ მისი ოჯახის სარეიტინგო ქულაა 65 ათასამდე (არაუმეტეს 2000 ლარისა). ასევე დაფინანსდება შშმ და სსსმ 18 წლამდე ბავშვების მუსიკალური თერაპია. • ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ონკოლოგიური (კეთილთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზის შემთხვევაში 18 წლამდე ბავშვები), სისტემური წითელი მგლურას და გაფანტული სკლეროზის მქონე, აგრეთვე ფსიქოტროპული მედიკამენტების მიმღები პირებისთვის თანხის თანადაფინანსება წლის განმავლობაში არა უმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა. ვეტერანების მედიკამენტების თანადაფინანსება წლის განმავლობაში არაუმეტეს 600 ლარისა და დამსახურებული წოდების მქონე სპორტსმენთა მედიკამენტებით დახმარება წლის განმავლობაში არაუმეტეს 600 ლარისა ქვეპროგრამის მიზანია ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა დახმარება		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში
	06 02 02		**2026 წლის გეგმა**
			580.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვთა უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

- ელექტროენერგიის ან ბუნებრივი აირის გადასახადის თანადაფინანსება წელიწადში 200 ლარის ოდენობით შემდეგ პირებზე (გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისა) :

- სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც არ იღებენ სოციალურ შემწეობას და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულაა 65 000 – დან 80 000-მდე ;
- მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი.
- მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები.

- ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვები წელიწადში ორჯერ საახალწლოდ და სააღდგომოდ მიიღებენ 200 ლარის ღირებულების სასურსათო პაკეტს (წელიწადში 400 ლარის)
- ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უდედმამო 18 წლამდე ბავშვები წელიწადში ორჯერ საახალწლოდ და სააღდგომოდ მიიღებენ 200 ლარის ღირებულების სასურსათო პაკეტს (წელიწადში 400 ლარის ოდენობით)
- მაღალმთიან რეგიონში, კერძოდ თუშეთში მუდმივად მცხოვრები ოჯახები წლის განმავლობაში ორჯერ საახალწლოდ და სააღდგომოდ იღებენ სასურსათო პაკეტებს 200 ლარის ოდენობით (წელიწადში თითოეულ ოჯახზე – 400 ლარი)
- მაღალმთიან რეგიონში, კერძოდ თუშეთში მუდმივად და სეზონურად მცხოვრებ პირთა პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფა ხდება წელიწადში 1500 ლარის ოდენობით
- მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები"-ს სტატუსის მქონე პირთა მოზამთრე ოჯახების 15 კუბურ მეტრამდე მეორე ხარისხის მერქნით (საშეშე მერქანი) დახმარება
- ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 95 წელს გადაცილებულ ხანდაზმულ პირთა დახმარება 500 ლარის ოდენობით
- ახალშობილის შეძენის შემთხვევაში ოჯახების დახმარება, კერძოდ: პირველი და მეორე ბავშვის შეძენისას ოჯახებს ერთჯერადად ჩაერიცხებათ ფულადი დახმარება (გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისა), პირველ ბავშვზე 300 ლარის ოდენობით და მეორე ბავშვზე 350 ლარის ოდენობით. ხოლო ტყუპების შეძენის შემთხვევაში თითო ბავშვზე 350 ლარი (ორივეზე 700 ლარი).
- მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩენილი მიცვალებულის დაკრძალვის სარიტუალო ხარჯის დაფინანსება. დახმარების ოდენობა შეადგენს 400 ლარს.
- ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა (ყოველთვიურად 150 ლარი) პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად
- ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ პირველი ჯგუფის უსინათლო მოქალაქეებზე გაიცემა წელიწადში ერთხელ ერთჯერადი ფულადი დახმარება 500 ლარის ოდენობით
- ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული რეინტეგრირებული ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების შემთხვევაში ბიოლოგიურ ოჯახს ეძლევა ფულადი დახმარება ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით
- დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან (21 მარტი) დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ დაუნის სინდრომის მქონე პირებზე გაიცემა ერჯერადი ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით.
- აუტიზმის საერთაშორისო დღესთან (2 აპრილი) დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ აუტისტური სპექტრის მქონე პირებზე გაიცემა ერჯერადი ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით.
- ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირების ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით
- განსაკუთრებულ შემთხვევებში, „სოციალური პაკეტით განსაზღვრული დახმარებების მსურველ პირთა განცხადებების შემსწავლელი კომისიის" დასკვნის საფუძველზე, სოციალური დახმარება გაიცემა ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ეკონომიკურად გაჭირვებულ, სოციალურად დაუცველ ფიზიკურ პირებზე და ოჯახებზე, წელიწადში ერთხელ არაუმეტეს 2000 ლარისა, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებს ან კონკრეტული მიზეზების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია დახმარება სოციალური პროგრამის სხვა მუხლებიდან
- ლოგინს მიჯაჭვული პირების დახმარება ჰიგიენური საშუალებების შესაძენად ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით;
- ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიაბეტით და ფერმენტოპათიით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვთა კვებისთვის დახმარება თვეში 150 ლარის ოდენობით.
- 100 წლის ასაკს გადაცილებული პირთა დახმარება წელიწადში ერთხელ 600 ლარის ოდენობით
- ძალადობის მსხვერპლი პირების ბინის ქირით უზრუნველყოფა – ყოველთვიურად არაუმეტეს 300 ლარის ოდენობთ, საჭიროების შემთხვევაში მთელი წლის განმავლობაში
- კრიზისულ სიტუაციებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 2000 ლარისა.
- ახმეტის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0-18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების ან/და სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამის თანადაფინანსება

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულთა დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში
	06 02 03		**2026 წლის გეგმა**
			1499.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვთა უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	• ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი ხანძრის შედეგად საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში დახმარება (დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით არაუმეტეს 5000 ლარისა) • ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ბინის ქირით უზრუნველყოფა. არაუმეტეს 200 ლარისა 4 თვის განმავლობაში. პროგრამის მიზანია სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავების აღდგენა		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში
	06 02 04		**2026 წლის გეგმა**
			16,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვთა უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	• ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მეომართა ოჯახებს ეძლევათ ერთჯერადი ფულადი დახმარება 600 ლარის ოდენობით • ახმეტის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სამამულო ომის ვეტერანების და მათი ოჯახების დახმარება, კერძოდ: გარდაცვლილი სამამულო ომის ვეტერანების სარიტუალო ხარჯების დაფინანსება 500 ლარის ოდენობით. • მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ერთჯერადად დახმარების გაწევა 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით 500 ლარის ოდენობით • ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე შშმ პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 700 ლარის ოდენობით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა შეადგენს 14,0 ათ. ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის ა(ა)იპ ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს ახმეტის რაიონული კავშირის სუბსიდია 2,0 ათ. ლარს.		

	ქვეპროგრამის მიზანია ომის მონაწილეთა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში მონაწილე პირთა და მათი ოჯახების დახმარება
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურება	დაფინანსება ათას ლარებში
	06 03		**2026 წლის გეგმა**
			43,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კასრისწყლის მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება სოფელ კასრისწყლიდან ქალაქ დედოფლისწყაროში, ბაზრის ტერიტორიაზე 35 კმ მანძილზე (ადგილზე მოცდით და უკან დაბრუნებით), თვეში არანაკლებ 8 (რვა) რეისი ყოველი კვირის სამშაბათსა და შაბათს, ილტოს ხეობის სოფლების: ჭართალის, შახვეტილის, ჩაჩხრიალის, ნადუქნარისა და საბუის მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება სოფელ ჭართალიდან ქალაქ ახმეტაში, ბაზრის ტერიტორიაზე 15 კმ. მანძილზე (ადგილზე მოცდით და უკან დაბრუნებით), ყოველი კვირის სამშაბათს, პარასკევს და კვირას. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ.დედისფერულის მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება , ყოველ კვირა დღეს სოფლიდან ქალაქ ახმეტაში ბაზრის ტერიტორიაზე ადგილზე მოცდით და უკან დაბრუნებით. (სავარაუდო მანძილი სოფელი დედისფერულიდან ქ.ახმეტამდე 20 კმ.) აღნიშნულ სოფლებში არ არის სასურსათო მაღაზიები და არც აფთიაქები. არ აქვთ წვდომა სერვისების მომსახურების სააგენტოსთან. ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობისათვის გადაადგილებისა და სხვადასხვა სერვისებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უმწოთათვის უფასო კვების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში
	06 02 05		**2026 წლის გეგმა**
			891.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის “ სოციალური სახლი"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქ. ახმეტაში უმწეოთათვის განკუთვნილია მუნიციპალიტეტის მერიის ერთი უფასო მუნიციპალური სასადილო, რომელიც ემსახურება 370 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს (მათ შორის 198 არის ქალი) და უზრუნველყოფს დღეში ერთხელ ცხელი საკვებით. ადგილზე იკვებება 35 (ოცდათხუთმეტი) ბენეფიციარი, ხოლო დანარჩენი ბენეფიციარის მომარაგება ხდება საცხოვრებელ ადგილზე, სოფლების მიხედვით. ყოველთვიურად ხდება მოსარგებლე პირთა რაოდენობაში ცვლილების შეტანა, კერძოდ გარდაცვალების, რაიონიდან გასვლის ან პირადი განცხადების საფუძველზე. ქვეპროგრამის მიზანია,სიღატაკის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის უფასო ერთჯერადი საკვებით უზრუნველყოფა.		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც	მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და		

ემსახურება ქვეპროგრამა	მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წითელი ჯვრის თანადაფინანსება	დაფინანსება ათას ლარებში
	06 04		**2026 წლის გეგმა**
			50,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, როგორც ჰუმანიტარულ სფეროში მთავრობის დამხმარე ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტებია: • კატასტროფების მართვა • ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის ზრდა • სოციალური მხარდაჭერა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ახმეტის ფილიალში 2013 წლიდან „ინტეგრირებულ საქმიანობათა ცენტრის“ ბაზაზე ახორციელებს მოწყვლადი ჯგუფების მათ შორის: ხანდაზმულების სოციალურ მხარდაჭერაზე, ახალგაზრდების გაძლიერებაზე, პანკისის თემის უნარიანობის ამაღლებასა და ახმეტის მუნიციპალიტეტის კატასტროფების რისკის შემცირების შესაძლებლობის გაზრდაზე ორიენტირებულ საქმიანობებს. პროექტით „საქმიანობათა ცენტრი ახმეტაში“ უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის პროექტით ფინანსდება ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა: • სხვადასხვა სოციალური ღონისძიებები (ექსკურსია, შემოქმედებითი საღამოები, ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა და სხვა); • მასალები საქმიანობათა ჯგუფებისათვის (საკერავი, საქსოვი, საქარგი და სხვა); • საბაზისო მედიკამენტები ლოგინს მიჯაჭვული ბენეფიციარებისათვის; • კატასტროფების შედეგად დაზარალებულთა მხარდამჭერი საქმიანობები; • სამედიცინო აქციები (სასტუმრო, ტრანსპორტირება, კვება) დაუცველი ჯგუფებისთვის; • და სხვა პროგრამული თუ ადმინისტრაციული ხარჯები; • შინმოვლის ჯგუფი; • რეცხვის ჯგუფი. ქვეპროგრამის მიზანია, მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის პროექტის თანადაფინანსება.		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა; მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის .		

6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება, შესყიდვებთან და აუქციონთან დაკავშირებული ხარჯები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	დაფინანსება ათას ლარებში
	01 02 03		**2026 წლის გეგმა**
			179,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის საპროცენტო (13.7 ათ. ლარი) და სესხის ძირითადი თანხების დაფარვა (165,9 ათ. ლარი). სესხი აღებულია: 1. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვისა“ (2026 წელს გადასახდელი იქნება 40.4 ათ. ლარი. მ. შ %-2.2 ათ. ლარი, ძირითადი თანხა-38.2 ათ. ლარი) 2. „ახმეტის მუნიციპალიტეტში სოფელ მატნის სპორტსკოლის რესკონსტრუქციისა და გზის რეაბილიტაციის“ (2026 წელს გადასახდელი იქნება 139,3 ათ. ლარი. აქედან პროცენტი – 11.6 ათ. ლარი. ძირითადი თანხა – 127.7) პროექტების განსახორციელებლად. 3. ქ. ახმეტაში იპოდრომის მოსაწყობად სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდიდან უსასყიდლო სესხის სახით მიღებულია 3 600,0 ათ. ლარი. შეიცვალა სასესხო ხელშეკრულების მიზნობრიობა. პირველ ეტაპზე უნდა მოეწყოს ორვილის ნაპირსამაგრი, რომლის სავარაუდო ღირებულებაა 1781,0 ათ. ლარი. მომზადდა იპოდრომის მშენებლობის 266,0 ათ. ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. სესხის ჯამური მოცულობა იქნება 2047,0 ათ. ლარი, ხოლო 1553,0 ათ. ლარი დაბრუნებულია ფონდის ანგარიშზ. იპოდრომის მოწყობას განახორციელებს სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდი. სესხი არის უპროცენტო, რომელიც უნდა დაიფაროს 2027 წლის 25 დეკემბრამდე. 2026 წელს აღნიშნული სესხის დაფარვა არ არის გათვალისწინებული ქვეპროგრამის მიზანია, ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულების სრულად და დადგენილ ვადებში დაფარვა		
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე.		

თავი III

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგი სახით.

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა		
				მათ შორის			მათ შორის	
		სულ	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
	ახმეტის მუნიციპალიტეტი	38,988.6	51,939.8	32,645.6	19,294.2	45,505.2	33,949.8	11,555.5

	ხარჯები	20,278.7	26,280.8	23,181.8	3,099.0	26,939.1	24,831.5	2,107.6
	შრომის ანაზღაურება	3,670.3	4,099.6	4,099.6	-	4,478.7	4,478.7	-
	საქონელი და მომსახურება	2,179.4	3,106.0	2,436.1	669.9	2,681.2	2,201.0	480.2
	პროცენტები	51.6	35.9	35.9	-	13.7	13.7	-
	სუბსიდიები	11,532.7	14,894.9	14,817.3	77.6	16,258.8	16,062.0	196.8
	გრანტები	113.5	118.5	118.5	-	124.0	124.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	1,040.8	1,204.8	1,204.8	-	1,416.6	1,416.6	-
	სხვა ხარჯები	1,690.3	2,821.1	469.6	2,351.5	1,966.2	535.5	1,430.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	18,531.0	25,468.2	9,273.0	16,195.2	18,400.2	8,952.4	9,447.8
	ვალდებულებები	178.9	190.8	190.8	-	165.9	165.9	-
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5,619.0	7,252.8	7,252.8	-	7,842.7	7,842.7	-
	ხარჯები	5,140.6	6,165.7	6,165.7	-	6,375.3	6,375.3	-
	შრომის ანაზღაურება	3,670.3	4,099.6	4,099.6	-	4,478.7	4,478.7	-
	საქონელი და მომსახურება	1,034.6	1,602.6	1,602.6	-	1,411.1	1,411.1	-
	პროცენტები	51.6	35.9	35.9	-	13.7	13.7	-
	გრანტები	80.0	80.0	80.0	-	80.0	80.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	8.7	-	-	-	22.0	22.0	-
	სხვა ხარჯები	295.4	347.6	347.6	-	369.8	369.8	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	299.6	896.3	896.3	-	1,301.5	1,301.5	–
	ვალდებულებები	178.9	190.8	190.8	-	165.9	165.9	-
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,381.8	6,550.8	6,550.8	-	7,451.6	7,451.6	-
	ხარჯები	5,082.2	5,654.5	5,654.5	-	6,150.1	6,150.1	-
	შრომის ანაზღაურება	3,670.3	4,099.6	4,099.6	-	4,478.7	4,478.7	-

	საქონელი და მომსახურება	1,027.9	1,131.8	1,131.8	-	1,204.1	1,204.1	-
	გრანტები	80.0	80.0	80.0	-	80.0	80.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	8.7	-	-	-	22.0	22.0	-
	სხვა ხარჯები	295.4	343.1	343.1	-	365.3	365.3	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	299.6	896.3	896.3	-	1,301.5	1,301.5	-
01 01 01	ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,207.1	1,283.6	1,283.6	-	1,357.0	1,357.0	-
	ხარჯები	1,134.4	1,272.9	1,272.9	-	1,357.0	1,357.0	-
	შრომის ანაზღაურება	807.4	897.6	897.6	-	980.7	980.7	-
	საქონელი და მომსახურება	182.2	216.8	216.8	-	193.0	193.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	-	-	-	-	2.0	2.0	-
	სხვა ხარჯები	144.8	158.5	158.5	-	181.3	181.3	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	72.7	10.7	10.7	-	-		-
01 01 02	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	4,174.7	5,267.2	5,267.2	-	6,094.6	6,094.6	-
	ხარჯები	3,947.8	4,381.6	4,381.6	-	4,793.1	4,793.1	-
	შრომის ანაზღაურება	2,862.9	3,202.0	3,202.0	-	3,498.0	3,498.0	-
	საქონელი და მომსახურება	845.7	915.0	915.0	-	1,011.1	1,011.1	-
	გრანტები	80.0	80.0	80.0	-	80.0	80.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	8.7	-	-	-	20.0	20.0	-
	სხვა ხარჯები	150.6	184.6	184.6	-	184.0	184.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	226.9	885.6	885.6	-	1,301.5	1,301.5	-
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	237.2	702.0	702.0	-	391.1	391.1	-
	ხარჯები	58.4	511.2	511.2	-	225.2	225.2	-
	საქონელი და მომსახურება	6.8	470.8	470.8	-	207.0	207.0	-
	პროცენტები	51.6	35.9	35.9	-	13.7	13.7	-

	სხვა ხარჯები	-	4.5	4.5	-	4.5	4.5	-
	ვალდებულებები	178.9	190.8	190.8	-	165.9	165.9	-
01 02 01	სარეზერვო ფონდი	-	463.8	463.8	-	200.0	200.0	-
	ხარჯები	-	463.8	463.8	-	200.0	200.0	-
	საქონელი და მომსახურება	-	463.8	463.8	-	200.0	200.0	-
01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	-	4.5	4.5	-	4.5	4.5	-
	ხარჯები	-	4.5	4.5	-	4.5	4.5	-
	სხვა ხარჯები	-	4.5	4.5		4.5	4.5	
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	230.5	226.7	226.7	-	179.6	179.6	-
	ხარჯები	51.6	35.9	35.9	-	13.7	13.7	-
	პროცენტები	51.6	35.9	35.9		13.7	13.7	
	ვალდებულებები	178.9	190.8	190.8		165.9	165.9	
01 02 04	შესყიდვებთან და აუქციონთან დაკავშირებული ხარჯები	6.8	7.0	7.0	-	7.0	7.0	-
	ხარჯები	6.8	7.0	7.0	-	7.0	7.0	-
	საქონელი და მომსახურება	6.8	7.0	7.0		7.0	7.0	
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	16,889.6	21,548.4	6,000.2	15,548.2	14,529.1	6,074.6	8,454.5
	ხარჯები	1,498.9	1,741.0	1,741.0	-	1,827.6	1,827.6	-
	საქონელი და მომსახურება	535.3	665.0	665.0	-	635.0	635.0	-
	სუბსიდიები	856.4	1,046.5	1,046.5	-	1,163.1	1,163.1	-
	გრანტები	29.5	29.5	29.5	-	29.5	29.5	-
	სხვა ხარჯები	77.72	-	-	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15,390.8	19,807.4	4,259.2	15,548.2	12,701.5	4,247.0	8,454.5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	12,635.8	15,940.0	1,791.3	14,148.7	9,008.5	2,436.9	6,571.6

	ხარჯები	-	30.0	30.0	-	-	-	-
	საქონელი და მომსახურება	-	30.0	30.0	-	-		
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12,635.8	15,910.0	1,761.3	14148.7	9,008.5	2,436.9	6571.6
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,403.2	2,084.4	2,084.4	-	1,621.0	1,621.0	-
	ხარჯები	711.3	896.5	896.5	-	940.8	940.8	-
	საქონელი და მომსახურება	231.0	280.0	280.0	-	280.0	280.0	-
	სუბსიდიები	480.3	616.5	616.5	-	660.8	660.8	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	691.9	1,187.9	1,187.9	-	680.2	680.2	-
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	621.7	1,057.5	1,057.5	-	560.2	560.2	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	621.7	1,057.5	1,057.5	-	560.2	560.2	-
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	231.0	280.0	280.0	-	280.0	280.0	-
	ხარჯები	231.0	280.0	280.0	-	280.0	280.0	-
	საქონელი და მომსახურება	231.0	280.0	280.0	-	280.0	280.0	-
02 02 03	ა(ა)იპ სოფლის სასმელი წყლის მოვლა-პატრონობის ცენტრი	550.5	746.9	746.9	-	780.8	780.8	-
	ხარჯები	480.3	616.5	616.5	-	660.8	660.8	-
	სუბსიდიები	480.3	616.5	616.5	-	660.8	660.8	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	70.2	130.4	130.4	-	120.0	120.0	-
02 03	გარე განათება	682.3	783.7	783.7	-	877.9	877.9	-
	ხარჯები	679.8	780.0	780.0	-	852.3	852.3	-
	საქონელი და მომსახურება	303.7	350.0	350.0	-	350.0	350.0	-
	სუბსიდიები	376.1	430.0	430.0	-	502.3	502.3	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.5	3.7	3.7	-	25.6	25.6	-
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია	303.7	350.0	350.0	-	350.0	350.0	-

	ხარჯები	303.7	350.0	350.0	-	350.0	350.0	-
	საქონელი და მომსახურება	303.7	350.0	350.0	-	350.0	350.0	-
02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	-	-	-	-	25.6	25.6	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-		25.6	25.6	
02 03 04	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური	378.5	433.7	433.7	-	502.3	502.3	-
	ხარჯები	376.1	430.0	430.0	-	502.3	502.3	-
	სუბსიდიები	376.1	430.0	430.0		502.3	502.3	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.5	3.7	3.7		-		
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	77.7	-	-	-	-	-	-
	ხარჯები	77.72	-	-	-	-	-	-
	სხვა ხარჯები	77.72	-	-	-	-	-	-
02 04 01	ბინათმშენებლობა	77.7	-	-	-	-	-	-
	ხარჯები	77.72	-	-	-	-	-	-
	სხვა ხარჯები	77.72	-	-	-	-	-	-
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	479.4	872.7	802.7	70.0	463.6	393.6	69.97
	ხარჯები	0.61	5.00	5.00	-	5.00	5.00	-
	საქონელი და მომსახურება	0.61	5.00	5.00	-	5.00	5.00	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	478.8	867.7	797.7	70.0	458.6	388.6	69.97
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოტაცია	479.4	872.7	802.7	70.0	463.6	393.6	69.97
	ხარჯები	0.61	5.00	5.00	-	5.00	5.00	-
	საქონელი და მომსახურება	0.61	5.00	5.00	-	5.00	5.00	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	478.8	867.7	797.7	69.97	458.6	388.6	69.97
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1,077.1	1,496.7	500.2	996.5	2,291.8	713.7	1,578.1

	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,077.1	1,496.7	500.2	996.49	2,291.8	713.7	1,578.14
02 07	ტურიზმი	84.1	29.5	29.5	-	29.5	29.5	-
	ხარჯები	29.5	29.5	29.5	-	29.5	29.5	-
	გრანტები	29.5	29.5	29.5	-	29.5	29.5	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	54.6	-	-	-	-	-	-
02 07 01	ტურისტული ინფრასტურქტურის მოწყობა	54.6	-	-	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	54.6	-	-		-	-	-
02 07 02	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	29.5	29.5	29.5		29.5	29.5	
	ხარჯები	29.5	29.5	29.5		29.5	29.5	
	გრანტები	29.5	29.5	29.5		29.5	29.5	
02 08	მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	450.1	341.4	8.4	333.0	236.8	2.0	234.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	450.1	341.4	8.4	333.0	236.8	2.0	234.8
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,697.6	5,762.0	5,481.3	280.7	5,597.5	5,297.7	299.8
	ხარჯები	2,274.8	2,993.2	2,915.6	77.6	3,248.4	3,051.6	196.8
	სუბსიდიები	2,274.8	2,993.2	2,915.6	77.6	3,248.4	3,051.6	196.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,422.8	2,768.8	2,565.7	203.1	2,349.1	2,246.1	103.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა ა(ა)იპ კეთილმოწყობის სამსახური	1,345.0	1,791.2	1,791.2	-	1,899.3	1,899.3	-
	ხარჯები	1,335.9	1,785.4	1,785.4	-	1,899.3	1,899.3	-
	სუბსიდიები	1,335.9	1,785.4	1,785.4		1,899.3	1,899.3	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9.1	5.8	5.8		-		
03 02	გარემოს დაცვა	994.9	1,336.5	1,158.9	177.6	1,497.1	1,197.3	299.8
	ხარჯები	938.9	1,207.8	1,130.2	77.6	1,349.1	1,152.3	196.8

	სუბსიდიები	938.9	1,207.8	1,130.2	77.6	1,349.1	1,152.3	196.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	56.0	128.7	28.7	100.0	148.0	45.0	103.0
03 02 01	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	543.2	785.1	607.5	177.6	877.4	577.6	299.8
	ხარჯები	507.8	660.1	582.5	77.6	749.4	552.6	196.8
	სუბსიდიები	507.8	660.1	582.5	77.6	749.4	552.6	196.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	35.4	125.0	25.0	100.0	128.0	25.0	103.0
03 02 02	ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი	451.7	551.4	551.4		619.7	619.7	
	ხარჯები	431.1	547.7	547.7		599.7	599.7	
	სუბსიდიები	431.1	547.7	547.7		599.7	599.7	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	20.6	3.7	3.7		20.0	20.0	
03 03	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	1,357.7	2,634.3	2,531.2	103.1	2,131.1	2,131.1	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,357.7	2,634.3	2,531.2	103.1	2,131.1	2,131.1	-
03 03 01	სანიაღვრე არხების მოწყობა	318.8	243.3	243.3	-	71.8	71.8	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	318.8	243.3	243.3	-	71.8	71.8	-
03 03 02	ხევების გაწმენდა ნატანისგან	3.1	91.2	91.2	-	106.6	106.6	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.1	91.2	91.2	-	106.6	106.6	-
03 03 03	სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა	844.2	339.2	236.1	103.1	40.0	40.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	844.2	339.2	236.1	103.1	40.0	40.0	
03 03 04	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	191.5	1,960.6	1,960.6	-	1,912.7	1,912.7	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	191.5	1,960.6	1,960.6		1,912.7	1,912.7	-
03 04	დასუფთავების ღონისძიებები	-	-	-	-	70.0	70.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	-		-	70.0	70.0	-
04 00	განათლება	5,622.3	7,061.6	5,947.7	1,113.9	7,291.6	6,796.4	495.2

	ხარჯები	5,112.6	6,435.3	5,765.4	669.9	6,744.0	6,263.8	480.2
	საქონელი და მომსახურება	475.1	672.2	2.3	669.9	494.2	14.0	480.2
	სუბსიდიები	4,614.2	5,733.8	5,733.8	-	6,209.8	6,209.8	-
	გრანტები	-	9.0	9.0	-	14.5	14.5	
	სხვა ხარჯები	23.3	20.3	20.30		25.50	25.50	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	509.7	626.3	182.3	444.0	547.6	532.6	15.0
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება ა(ა)იპ ს.ბაღების ცენტრი	4,747.9	5,905.8	5,905.8	-	6,409.8	6,409.8	-
	ხარჯები	4,614.2	5,733.8	5,733.8	-	6,209.8	6,209.8	-
	სუბსიდიები	4,614.2	5,733.8	5,733.8		6,209.8	6,209.8	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	133.7	172.0	172.0		200.0	200.0	
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (საბავშვო ბაღების არაფინანსური მერიაში)	214.4	-	-	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	214.4	-	-	-	-	-	-
04 02	ზოგადი განათლება	660.1	1,155.8	41.9	1,113.9	881.8	386.6	495.2
	ხარჯები	498.4	701.5	31.6	669.9	534.2	54.0	480.2
	საქონელი და მომსახურება	475.1	672.2	2.3	669.9	494.2	14.0	480.2
	გრანტები	-	9.0	9.0		14.5	14.5	
	სხვა ხარჯები	23.30	20.3	20.30		25.5	25.50	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	161.7	454.3	10.3	444.0	347.6	332.6	15.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3,896.4	5,409.9	5,409.9	-	5,943.3	5,068.0	875.3
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	16.00	16.00	-	-	-	-
	ხარჯები	3,052.0	4,053.4	4,053.4	-	4,457.8	4,457.8	-
	საქონელი და მომსახურება	89.5	127.0	127.0	-	97.0	97.0	-

	სუბსიდიები	2,936.7	3,909.4	3,909.4	-	4,300.3	4,300.3	-
	გრანტები	4.00	-	-	-	-	-	-
	სხვა ხარჯები	21.7	17.0	17.0	-	60.5	60.5	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	844.4	1,356.5	1,356.5	-	1,485.5	610.2	875.3
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	2,122.9	3,020.2	3,020.2	-	3,308.5	2,433.2	875.3
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	16.00	16.00	-	-	-	-
	ხარჯები	1,325.4	1,711.2	1,711.2	-	1,888.0	1,888.0	-
	საქონელი და მომსახურება	16.8	27.0	27.0	-	27.0	27.0	-
	სუბსიდიები	1,296.9	1,671.4	1,671.4	-	1,840.5	1,840.5	-
	სხვა ხარჯები	11.7	12.8	12.8	-	20.5	20.5	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	797.6	1,309.0	1,309.0	-	1,420.5	545.2	875.3
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	16.00	16.00	-	-	-	-
05 01 01	ა(ა)იპ ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანება	1,009.0	1,293.4	1,293.4	-	1,405.8	1,405.8	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	16.00	16.00		-		
	ხარჯები	1,002.5	1,263.9	1,263.9	-	1,385.8	1,385.8	-
	სუბსიდიები	1,002.5	1,263.9	1,263.9		1,385.8	1,385.8	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6.5	29.5	29.5		20.0	20.0	
05 01 02	ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა "ბახტრიონი"	286.3	399.5	399.5	-	459.7	459.7	-
	ხარჯები	286.3	399.5	399.5	-	446.7	446.7	-
	სუბსიდიები	286.3	399.5	399.5		446.7	446.7	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-		13.0	13.0	
05 01 03	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	36.5	47.8	47.8	-	55.5	55.5	-
	ხარჯები	36.5	47.8	47.8	-	55.5	55.5	-

	საქონელი და მომსახურება	16.8	27.0	27.00	-	27.0	27.00	-
	სუბსიდიები	8.0	8.0	8.0		8.0	8.0	
	სხვა ხარჯები	11.7	12.8	12.8		20.5	20.5	
05 01 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	791.1	1,279.5	1,279.5	-	1,387.5	512.2	875.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	791.1	1,279.5	1,279.5	-	1,387.5	512.2	875.3
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,589.2	2,165.9	2,165.9	-	2,403.8	2,403.8	-
	ხარჯები	1,551.5	2,118.4	2,118.4	-	2,338.8	2,338.8	-
	სუბსიდიები	1,551.5	2,118.4	2,118.4	-	2,338.8	2,338.8	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	37.7	47.5	47.5	-	65.0	65.0	-
05 02 01	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	1,002.9	1,359.1	1,359.1	-	1,539.1	1,539.1	-
	ხარჯები	982.8	1,340.8	1,340.8	-	1,512.1	1,512.1	-
	სუბსიდიები	982.8	1,340.8	1,340.8		1,512.1	1,512.1	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	20.1	18.3	18.3		27.0	27.0	
05 02 02	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება	586.3	806.8	806.80	-	864.7	864.70	-
	ხარჯები	568.7	777.6	777.60	-	826.7	826.70	-
	სუბსიდიები	568.7	777.6	777.60		826.7	826.70	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	17.6	29.2	29.20	-	38.0	38.00	-
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	97.0	122.2	122.2	-	131.0	131.0	-
	ხარჯები	91.2	122.2	122.2	-	131.0	131.0	-
	სუბსიდიები	4.5	18.0	18.0		21.0	21.0	
	საქონელი და მომსახურება	72.7	100.0	100.0	-	70.0	70.0	-
	გრანტები	4.0	-			-		

	სხვა ხარჯები	10.0	4.2	4.20		40.0	40.00	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5.80	-	-		-		
05 04	ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი	87.2	101.6	101.6	-	100.0	100.0	-
	ხარჯები	83.8	101.6	101.6	-	100.0	100.0	-
	სუბსიდიები	83.8	101.6	101.6		100.0	100.0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.4	-	-		-	-	
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,263.6	4,905.2	2,553.7	2,351.5	4,301.0	2,870.4	1,430.7
	ხარჯები	3,199.9	4,892.2	2,540.7	2,351.5	4,286.0	2,855.4	1,430.7
	საქონელი და მომსახურება	44.9	39.2	39.2	-	43.9	43.9	-
	სუბსიდიები	850.6	1,212.0	1,212.0	-	1,337.2	1,337.2	-
	სოციალური უზრუნველყოფა	1,032.2	1,204.8	1,204.8	-	1,394.6	1,394.6	-
	სხვა ხარჯები	1,272.2	2,436.2	84.7	2,351.5	1,510.4	79.7	1,430.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	63.7	13.0	13.0	-	15.0	15.0	-
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	208.5	294.9	294.9	-	319.1	319.1	-
	ხარჯები	148.7	284.9	284.9	-	309.1	309.1	-
	სუბსიდიები	148.7	284.9	284.9	-	309.1	309.1	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	59.9	10.0	10.0	-	10.0	10.0	-
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	208.5	294.9	294.9	-	319.1	319.1	-
	ხარჯები	148.7	284.9	284.9	-	309.1	309.1	-
	სუბსიდიები	148.7	284.9	284.9		309.1	309.1	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	59.86	10.00	10.00		10.00	10.00	
06 02	სოციალური დაცვა	2,965.2	4,521.1	2,169.6	2,351.5	3,888.0	2,457.4	1,430.7
	ხარჯები	2,961.4	4,518.1	2,166.6	2,351.5	3,883.0	2,452.4	1,430.7

	სუბსიდიები	657.0	877.1	877.1	-	978.1	978.1	-
	სოციალური უზრუნველყოფა	1,032.2	1,204.8	1,204.8	-	1,394.6	1,394.6	-
	სხვა ხარჯები	1,272.2	2,436.2	84.7	2,351.5	1,510.4	79.7	1,430.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.9	3.0	3.0	-	5.0	5.0	-
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	615.6	695.0	695.0	-	761.0	761.0	-
	ხარჯები	615.6	695.0	695.0	-	761.0	761.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	615.6	695.0	695.0		761.0	761.0	
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	417.2	478.2	478.2	-	580.9	580.9	-
	ხარჯები	417.2	478.2	478.2	-	580.9	580.9	-
	სუბსიდიები	-	55.00	55.00		89.80	89.80	
	სოციალური უზრუნველყოფა	408.7	413.2	413.2		481.1	481.1	
	სხვა ხარჯები	8.5	10.0	10.0		10.0	10.0	
06 02 03	ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური უბედურებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება	1,268.3	2,425.5	74.0	2,351.5	1,499.7	69.0	1,430.7
	ხარჯები	1,268.3	2,425.5	74.0	2,351.5	1,499.7	69.0	1,430.7
	საქონელი და მომსახურება	5.20	-	-	-	-	-	-
	სხვა ხარჯები	1,263.1	2,425.5	74.0	2,351.5	1,499.7	69.0	1,430.7
06 02 04	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	10.5	20.6	20.6	-	16.0	16.0	-
	ხარჯები	10.5	20.6	20.6	-	16.0	16.0	-
	სუბსიდიები	2.00	2.00	2.00		2.00	2.00	
	სოციალური უზრუნველყოფა	7.80	17.90	17.90		13.30	13.30	
	სხვა ხარჯები	0.70	0.70	0.70		0.70	0.70	
06 02 05	ა(ა)იპ სოციალური სახლი	658.8	823.1	823.1	-	891.3	891.3	-
	ხარჯები	655.0	820.1	820.1	-	886.3	886.3	-

	სუბსიდიები	655.0	820.1	820.1		886.3	886.3	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.9	3.0	3.0		5.0	5.0	
06 02 06	პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის პროგრამა	-	78.70	78.70	-	139.21	139.21	-
	ხარჯები	-	78.70	78.70	-	139.21	139.21	-
	სოციალური უზრუნველყოფა		78.70	78.70		139.21	139.21	
06 03	მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურება	39.66	39.20	39.20	-	43.90	43.90	-
	ხარჯები	39.66	39.20	39.20	-	43.90	43.90	-
	საქონელი და მომსახურება	39.66	39.20	39.20	-	43.90	43.90	-
06 04	წითელი ჯვრის საზოგადოების თანადაფინანსება	45.0	50.0	50.0	-	50.0	50.0	-
	ხარჯები	45.0	50.0	50.0	-	50.0	50.0	-
	სუბსიდიები	45.0	50.0	50.0	-	50.0	50.0	-

თავი IV

მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 15

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 16

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 17

2026 წლის განმავლობაში ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე დანამატები გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 18

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების

განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 19

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, ყოველი თვის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ახმეტის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ დადგენილებით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე.

2. საფინანსო სამსახური მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 20.პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

მუხლი 21

მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდი 01 02 03-დან დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები.

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2026 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

მუხლი 22

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა მოამზადოს ახმეტის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

მუხლი 23

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 1116.1 ათასი ლარი მიიმართოს

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 236.4 ათასი ლარი

ბ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 14.0 ათასი ლარი.

გ) „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად 42.0 ათ. ლარი

დ) „ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად –

77.5 ათ. ლარი

ე) „მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებების დელეგირების მიზნით“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულებით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 388,6 ათ. ლარი

ვ) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით – 137,6 ათ. ლარი

ზ) თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ტბათანას ტერიტორიების სამართავად – 220,0 ათ. ლარი.

მუხლი 24

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 25

2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 200,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.